ახალი გაზეთლება

2014 წელი, 5-11 ივნისი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№21 (655) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

50 ათასი ბავშვი უკიდურეს სიღატაკეს განიცდის

გვერდი 4

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა. ამ დღესთან დაკავშირებით ქალაქი კონცერტებმა და გასართობმა ღონისძიებებმა მოიცვა, ქუჩები ბავშვებზე ხელჩაკიდებული მშობლებით აივსო, გაბრწყინებული პატარები გასართობ ღონისძიებებზე მიიჩქაროდნენ. მათ წინ, სანახაობების შემდეგ, როგორც წესი, „სურვილების ასრულება“ ელოდათ – ატრაქციონები, ტკბილეული, ნაყინი, ბუშტები, „მაკდონალდსი“ – ეს ხომ მათი დღეა! თუმცა, ბავშვთა საერთაშორისო დღე უმეტესად იმ პატარებისთვისაა, ვისაც გაუმართლა და ღარიბ ოჯახში არ დაიბადა. წლევანდელ 1 ივნისსაც რეალობა არაფრით შეცვლილა, ამას, განსაკუთრებული სიმძაფრით, მეტროში თუ მოხვდი, მაშინ შეიგრძნობ, როცა ხელგამოწვდილ პატარებს ნახავ და არა მხოლოდ მეტროში, ქუჩებში, ყოველ კუთხე-კუნჭულში მოწყალების მისაღებად გამოსული ბავშვები, „ყუთიანი“ ახალგაზრდები (ბოლო დროს მოწყალების თხოვნის ახალ ფორმად დამკვიდრდა) და ხელებაკანკალებული მოხუცები გვხვდებიან. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ გარშემო უკიდურესი სიღატაკეა, არადა, წესით, ქვეყნის მასშტაბით, ბავშვთა დაცვის დღე საყოველთაოდ აღინიშნება.

მომავლის მწერალი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის გურამ ოდიშარიას ინიციატივით, კონკურსი „მომავლის მწერალი“ თერთმეტ მაღალმთიან მუნიციპალიტეტში ჩატარდა. კონკურსი კულტურის სამინისტროსა და ფონდ საზოგადოებრივი თანადგომის მხარდაჭერითა და ორგანიზებით მოეწყო, მონაწილეობდა 200-მდე უფროსკლასელი – დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთის, ონის, ამბროლაურის, ცაგერის, ლენტეხის, მესტიის, ქედას, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებიდან.

2 ივნისს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში, კონკურსის „მომავლის მწერალი“ გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ.

ჟიურიმ ფარული შეფასებით 7 ფინალისტი გამოავლინა: ნათია გოლეთიანი, ვიქტორ ჯელაძე, ნინო ქუშაშვილი, მარი პატარაშვილი, მარიამ ნინაშვილი, გიორგი ჭინჭარაული, თემურ ზოიძე.

ფინალისტებიდან 3 გამარჯვებული გამოვლინდა. ისინი ფულადი პრემიებით დაჯილდოვდნენ:

I ადგილი – ვიქტორ ჯელაძე, ამბროლაურის პირველი საჯარო სკოლა (XII კლასი) – 500 ლარი;
II ადგილი – მარი პატარაშვილი, დუშეთის მუნიციპალიტეტის ბულაჩაურის საჯარო სკოლა (XI კლასი) – 400 ლარი;
III ადგილი – გიორგი ჭინჭარაული, დუშეთის პირველი საჯარო სკოლა (XI კლასი) – 300 ლარი.

გვერდი 6

რუბრიკის „ქართველი სტუდენტები უცხოეთში“ სტუმარია დეუსთოს უნივერსიტეტის სტუდენტი ქეთი ჩადუნელი

ინტელექტუალური ვიქტორინა „წაიკითხე, უპასუხე და დასვი კითხვა“ გრძელდება. წარმოგიდგენთ საკონკურსო კითხვებს, იხ. გვერდი 2

პროფესიული ღირსების დაცვა – ქმედება და არა მხოლოდ სლოგანი

ანა ფირცხალაიშვილი

29 მაისს, 167-ე საჯარო სკოლაში სპმთპ-ს გლდანის რაიონული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია გაიმართა, რომელსაც, სხვა მოწვეულ სტუმრებთან ერთად, სპმთპ პრეზიდენტი **მაია კობახიძეც** ესწრებოდა, მთავარი მომხსენებელიც ის იყო. საკმაოდ ვრცელ გამოსვლაში პრეზიდენტმა 2010-12 წლებში განათლების სისტემაში მიმდინარე უარყოფით ტენდენციებზე ისაუბრა, რომელმაც, საკანონმდებლო დონეზე და პედაგოგთა უფლებების უხეში დარღვევის მხრივ, დააზარალა და შეაფერხა არა მარტო პროფკავშირების მუშაობა ადგილებზე, არამედ, ზოგადად, მთელი სისტემის წინსვლა და განვითარება. კომუნიკაციის გაწყვეტამ პროფესიულ კავშირებსა და განათლების სამინისტროს შორის რაიონული ორგანიზაციების რღვევაც გამოიწვია. მათი ხელახალი აღდგენა მხოლოდ 2012 წლის დეკემბრიდან დაიწყო და დღეისათვის საქართველოს პმთ პროფკავშირი 35000-ზე მეტ წევრს აერთიანებს.

პრეზიდენტმა იმ საკითხების შესახებაც ისაუბრა, რომელთა მოგვარება, პროფკავშირის ძალისხმევით, ახალი ხელისუფლების პირობებში მოხერხდა. მათგან მთავარი იყო: მოკლევადიანი ხელშეკრულებების გაუქმება; 18 საათის ზევით პედაგოგის ანაზღაურების წესის შეცვლა; განათლების შესახებ კანონიდან იმ პუნქტის ამოღება, რომლის მიხედვითაც არასერტიფიცირებულ პედაგოგს, 2015 წლიდან, უფლებამოსილება უწყდებოდა; 40-დღიანი საზაფხულო შვებულების ანაზღაურება, სკოლიდან უკანონოდ დათხოვნილთა ნაწილის აღდგენა და სხვ. ქალბატონმა მაია კობახიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ და სხვა საკითხების მოგვარება განათლების სამინისტროსთან კომუნიკაციის აღდგენამაც განაპირობა – დასაწყისში ბატონ **გიორგი მარგველაშვილთან**, ახლა კი ქალბატონ **თამარ სანიკიძესთან**. იგი აქტიურადაა ჩართული პროფესიული სტანდარტის განხილვაში, რომელსაც მთლიანობაში პროგრესულ დოკუმენტს უწოდებს, თუმცა აუცილებლად მიაჩნია იმ შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება, რაც პედაგოგთა პროფესიულ ზრდასა და მისი უფლებების დაცვას შეუწყობს ხელს. *„ჯერჯერობით პროფესიული განვითარების სქემას, მისი ავტორები, პედაგოგთა ცალკეულ ჯგუფებს აცნობენ. საჭიროდ მიმაჩნია დოკუმენტი პროექტის სახით გამოქვეყნდეს საჯარო განხილვისათვის, რათა შევჯერდეს ყველა საჩოთირო საკითხი. თუ მისი საბოლოო ვარიანტი მისაღები არ იქნება ჩვენი პედაგოგებისათვის, ვიქნებით ძალიან კატეგორიულები და პრინციპულები“* – აღნიშნა პრეზიდენტმა. მან ყურადღება პედაგოგთა ხელფასების ზრდის აუცილებლობაზეც გაამახვილა – მიაჩნია, რომ ტენდენცია მისასალმებელია, მაგრამ არასაკმარისი. მისი აზრით, აუცილებელია, პედაგოგის საბაზო ხელფასი სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასს (700 ლარი) გაუთანაბრდეს, სასერტიფიკაციო დანამატის გარეშე, და მიეცეს მეცამეტე ხელფასიც. რაკი პროფკავშირის ამ ინიციატივას საპარლამენტო უმრავლესობაც ეთანხმება, შესაძლოა შემოდგომიდან განხორციელდეს კიდეც ცვლილება, რაც უსათუოდ მისასალმებელი იქნება, რადგან დღეისათვის პედაგოგის საშუალო ხელფასი (დანამატის გარეშე) მხოლოდ 325 ლარია.

გამოსვლის დასასრულ სპმთპ პრეზიდენტმა „სოკოებივით მომრავლებული“ პროფკავშირებიც ახსენა და დასძინა, რომ ისინი კანონდარღვევითაა შექმნილი და საერთაშორისო წარმომადგენლობა მათ აღიარებას არ დაუშვებს.

კონფერენციაზე კამათი არ გამართულა, მხოლოდ თხოვნა იყო პროფკავშირისადმი 167-ე სკოლის სასწავლო ნაწილის, **ელენე ფუტკარაძის** მხრიდან, დაეხმარონ სკოლას კუთვნილი კორპუსის დაბრუნებაში, რომელიც 2008 წლიდან მითვისებული აქვთ დევნილებს, რაზეც ქალბატონმა მაიამ უპასუხა, რომ საკითხის მოგვარებაში უკვე ჩართულია ჯანდაცვის, დევნილთა და განსახლებისა და განათლების სამინისტროები. საკითხი აუცილებლად სამართლიანად, სკოლის სასარგებლოდ გადაწყდება.

იქვე გაეცა დადებითი პასუხი 116-ე სკოლის პედაგოგის შეკითხვას – ახალი სქემის ამუშავების შემდეგ ჩაითვლება თუ არა მანამდე დაგროვილი კრედიტები. ხოლო „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის პროგრამის“ კოორდინატორმა **კახა ჟღენტმა** თავის ხანმოკლე გამოსვლაში აღნიშნა: *„აუცილებელია ადამიანები დარწმუნდნენ, რომ რეფორმა მათთვისაა, არა გამოჭერისა და ჩანაცვლების, არამედ დახმარებისა და პროფესიული ზრდის ხელშესაწყობად. ამ ტიპის პროგრამა პილოტირების გარეშე არ უნდა განხორციელდეს. იგი სკოლაში უნდა გამოიცადოს და გაუმჯობესდეს. პროფესიული ზრდის ისეთი სისტემა უნდა შემუშავდეს, რომ პედაგოგი სასწავლო პროცესს არ მოსწყდეს“.*

ბოლოს გლდანის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის არჩევნებიც გაიმართა, თუმცა მთლად არჩევნებსაც ვერ დავარქმევთ, ერთადერთი კანდიდატურის გამო. ქალბატონ **ვიქტორია ბალავაძეს** ყველა ამომრჩეველმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი. ის უკვე შეუდგა საკუთარი მოვალეობის შესრულებას. წარმატებები გვინდა ვუსურვოთ და იმედი დავიტოვოთ, რომ მისი სამოქმედო პროგრამის სლოგანი – „იქნება სოლიდარობა, ყველაფერი გამოვა!“ – საჭიროების შემთხვევაში, საქმედ იქცევა. პროფკავშირის მთავარი არსი სწორედ ამაშია – მხარში დაუდგეს და სოლიდარული იყოს ადამიანის თუ ადამიანთა ჯგუფის მიმართ იმ მომენტში, როცა უსამართლოდ ექცევიან, ულახავენ პიროვნულ თუ პროფესიულ ღირსებას.

ზეკარი zekari

ასოციაცია „ზეკარი“

აცხადებს მიზნობრივ კონკურსს მაღალმთიანი რაჭა-ლეჩხუმის სკოლების მოსწავლე ახალგაზრდობისათვის

რაჭა-ლეჩხუმის (ამბროლაური, ონი, ცაგერი) სკოლების მოსწავლეებს შეუძლიათ, 2014 წლის 1 ოქტომბრამდე, წარმოადგინონ საკონკურსო ნაშრომები ორი მიმართულებიდან ერთ-ერთში:

1. ესეები თემაზე – „ეს საინტერესოა, წაიკითხეთ!..“
2. ხელნაკეთი წიგნი

სკოლას შეუძლია ისარგებლოს ასოციაცია „ზეკარის“ „მოძრავი ბიბლიოთეკით“.

ნაშრომები მიიღება 2014 წლის 15 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე, ონში და ცაგერში – საგანმანათლებლო რესურსცენტრებში, ამბროლაურში – ასოციაცია „ზეკარის“ ოფისში.

დამატებითი ინფორმაციისათვის
დარეკეთ – 599 93 0760 ან მოგვწერეთ – zekari@gmail.com

GameTV

ინტელექტუალური ვიქტორინა „წაიკითხე, უპასუხე და დასვი კითხვა“ წარმოგიდგენთ საკონკურსო კითხვებს

1. რამდენი ადამიანი შეხვედრია ჰეკლბერს, რომლებიც შესაძლოა არ იტყუებოდნენ? (დაასახელეთ რაოდენობა და ვინაობა)

2. ნაწარმოების მეორე თავში აღწერილია სცენა, სადაც ჰეკლბერის მიმართ მეგობრები ახორციელებდნენ დისკრიმინაციის ფაქტს. საქმე შეეხება ყაჩაღთა ბანდაში მის გაწევრიანებას.
რა სახის დისკრიმინაციაზეა საუბარი?

3. დაასრულეთ ფრაგმენტები ჰეკისა და შემთხვევითი მასპინძელი ქალის დიალოგიდან:
ქალი – ერთი ეს მითხარი, მწოლარე ძროხა წინა ფეხებით დგება ზე-ზე თუ უკანა ფეხებით. ჩქარა მიპასუხე!
ჰეკი – .....
ქალი – ცხენი?
ჰეკი – .....
ქალი – ხავსი ხის რომელ მხარეზე იზრდება?
ჰეკი – .....
ქალი – თუ ფერდობზე თხუთმეტი ძროხა ძოვს, რამდენს ექნება თავი მიბრუნებული ერთსა და იმავე მხარეს?
ჰეკი – .....

4. რამდენ შტატს გაივლის მისისიპი, რომელზეც ჰეკლბერ ფინი მოგზაურობდა? დაასახელეთ რიცხვი და ჩამოთვალეთ შტატები.

5. მეჩვიდმეტე თავში ახლად გაცნობილი ბაკი გრენჯერფორდი ეკითხება ჰეკს: „მოსე სად იყო, როდესაც სანთელი ჩაქრა?“
სად იყო მოსე ბაკის გამოცანის მიხედვით?

6. რა წიგნზე დაიფიცა ჰეკლბერ ფინმა, როდესაც მას „კურდღლისტუჩად“ წოდებულმა ჯოანამ სიმართლის დასამტკიცებლად დაფიცება მოსთხოვა?

7. სად დამალა ჰეკლბერ ფინმა „მეფისა“ და „ჰერცოგის“ მიერ მერი ჯეინისა და მისი დისათვის მოპარული ფული?

8. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:
ერთ-ერთ თავში ჰეკლბერ ფინი ჩაფიქრდა: მართალი ხარ თუ მტყუანი, ... ამაში ვერ ერკვევა და ყოველთვის გაწუხებს. მე რომ ისეთი ძაღლი მყოლოდა, რომელიც ადამიანის ..... მაგვარად ვერაფერში ვერ გაერკვეოდა, მოვწამლავდი. ადამიანის შიგნეულობაში ყველაზე დიდი ადგილი ..... უჭირავს, მაგრამ არაფრის მაქნისი კი არ არის. ტომ სოიერიც ამავე აზრისაა.

დამატებითი ინფორმაციისათვის შედით
Facebook-გვერდზე
საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია

წარმატებას გისურვებთ!

50 ათასი ბავშვი უკიდურეს სიღატაკეს განიცდის

პირველი გვერდიდან

სტატისტიკური რეალობაც მძიმე და დამაფიქრებელია. *„ხშირად მეკითხებიან, თუ რა არის ადამიანის უფლებათა ყველაზე სერიოზული დარღვევა დღეს მსოფლიოში და ჩემი პასუხი უცვლელია: უკიდურესი სიღარიბე“* – ეს სიტყვები **მერი რობინსონს**, გაეროს ადამიანის უფლებათა ყოფილ უმაღლეს კომისარს ეკუთვნის.

საქართველოს 0-16 წლის ბავშვების 27 პროცენტი ცხოვრობს სიღარიბეში, აქედან 50 000 ბავშვი უკიდურეს სიღატაკეს განიცდის და დღეში 2 ლარზე ნაკლებს მოიხმარს.

საქართველოში ბევრ ღარიბ ბავშვს აღენიშნება სერიოზული ჩამორჩენა განვითარებაში.

– ამ ინფორმაციას გაეროს ბავშვთა ფონდი ავრცელებს. იუნისეფის მთავარი გზავნილი ბავშვთა დაცვის დღეს სწორედ ბავშვთა სიღარიბეზეა.

საქართველოში ბავშვები კვლავ განიცდიან სიღარიბეს. 2013 წლის მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის თანახმად, უღარიბეს ოჯახებში მცხოვრები სამი-ხუთი წლის ბავშვების 25 პროცენტი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ფიზიკური, ემოციური, სოციალური თუ შემეცნებითი განვითარების თვალსაზრისით.

„დღეს საქართველოში ბავშვთა დაცვის დღეა და გვინდა საზოგადოების ყურადღება მივაპყროთ სოციალურად ყველაზე დაუცველი ბავშვების მდგომარეობას. ამ ბავშვებს განვითარების თანაბარი შესაძლებლობის უფლება აქვთ და სახელმწიფომ კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგას მათი ცხოვრების გასაუმჯობესებლად, – აღნიშნავს **ნადა მარასოვიჩი**, საქართველოში იუნისეფის წარმომადგენლის მოადგილე, – *საქართველოში ბავშვები უფრო მეტად დგანან უკიდურესი სიღარიბის რისკის წინაშე, ვიდრე სხვა ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენლები. რამდენადაც 2014 წელი ბავშვის უფლებათა დაცვის წლად გამოცხადდა, ველით, რომ წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება და მიიღება გადაწყვეტილებები ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით.“*

ბავშვიანი ოჯახები უფრო ღარიბი არიან, ვიდრე უბავშვო ოჯახები და რაც უფრო მეტი ბავშვია ოჯახში, მით მეტია სიღატაკის რისკი. სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები ბავშვების პროცენტული მაჩვენებელი 2011 წელს 25%-დან 2013 წელს 27%-მდე გაიზარდა, რადგან სოციალური დანახარჯები, უფრო მეტად, სხვა დაუცველ ჯგუფებზე იყო მიმართული.

ამასთანავე, კვლევამ აჩვენა, რომ 2012-2013 სასწავლო წელს უღარიბეს ოჯახებში 17 წლის ასაკის ბიჭების მხოლოდ 53 პროცენტი დადიოდა რაიმე სახის საგანმანათლებლო დაწესებულებაში. 18 წლის ასაკის ბიჭებისთვის ეს მაჩვენებელი 47 პროცენტამდე ეცემა.

„ყველა ბავშვისთვის სოციალური დაცვის თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფა უნდა იყოს ქვეყნის პრიორიტეტი, – ამბობს ნადა მარასოვიჩი – *იუნისეფი ეხმარება საქართველოს მთავრობას სოციალური დაცვის სისტემის გადასინჯვაში, რომ ამ სისტემამ გაითვალისწინოს შეღავათები ბავშვებისათვის. ჩვენი კვლევის თანახმად, რეკომენდებულია ფულადი შეღავათი ყველა ბავშვისთვის, გარდა იმ ბავშვებისა, რომელთაც ეს არ სჭირდებათ, რაც საგრძნობლად შეამცირებს ბავშვთა სიღარიბეს.“*

სიღარიბეში დაბადებულ ბავშვს ბევრი რამ აკლია, ეს ცხადია. ღარიბი ოჯახები, რომლებიც ბავშვებს ზრდიან, წვალობენ იმისათვის, რომ ოჯახი გამოკვებონ. მათ არა აქვთ სახელმძღვანელოების ან მედიკამენტების შეძენის საშუალება. ისინი, შესაძლოა, ბავშვების ადრეულ ასაკში დასაქმებაზეც ზრუნავდნენ, რომ შვილები ოჯახის გადარჩენაში დაიხმარონ.

სავარაუდოა, რომ ქართველი ბავშვები უფრო მაღალი ალბათობით იცხოვრებენ სიღარიბეში, თუკი ისინი ისეთ ოჯახში დაიბადნენ, რომლის არც ერთი წევრი არ მუშაობს, სადაც მშობლებს განათლების დაბალი დონე აქვთ, სადაც სამი ან მეტი ბავშვი ცხოვრობს, სადაც ოჯახი მიწას არ ფლობს და მძიმე საცხოვრებელი პირობები აქვს.

ხშირად სიღარიბე მათთვის მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ სიღარიბეში დაბადებული ბავშვი, მაღალი ალბათობით, მთელ თავის ცხოვრებას სიღარიბეში ატარებს. ადრეულ ასაკში სიღარიბემ, შესაძლოა, გამოიწვიოს ხანგრძლივი გონებრივი და ფიზიკური დარღვევები, რისგანაც ბავშვები მუდმივად დაიჩაგრებიან. *„ზემოაღნიშნული გარემოებები განაპირობებს სიღარიბის მომდევნო თაობებისთვის გადაცემის ციკლს. ამდენად, ბავშვთა კეთილდღეობაში ინვესტირება უმნიშვნელოვანესია კაცობრიობის თანასწორი და თანმიმდევრული განვითარების უზრუნველსაყოფად.“* – აღნიშნავს ბავშვის უფლებათა კომიტეტი.

სტატისტიკური მონაცემებით, ბოლო ორი წლის განმავლობაში, ბავშვთა უკიდურესი სიღარიბე შემცირდა, თუმცა მისი დონე კვლავ ყველაზე მაღალია სხვა მოსახლეობასთან შედარებით. საქართველო, უთანასწორობის მაღალი დონის მიხედვით, მეორეა ევროპაში, 1 ივნისი კი საქართველოში მცხოვრები პატარებისთვისაც ბავშვთა საერთაშორისო დაცვის დღეა!

ლალი ჯელაძე

შეხვედრა გასტონ ბუაჩიძესთან

მაკა ყიფიანი

ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი, რომელიც 1982 წლიდან, თბილისში, ჩახრუხაძის ქ. №17-ში, ორსართულიანი სახლის პირველ სართულზე მდებარეობს, გარდა იმისა, რომ პოეტის შემოქმედების ამსახველ ისტორიას ინახავს, ასევე აქტიურადაა ჩართული საგამომცემლო საქმიანობაში. აქ ხშირად იმართება კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები, ეწყობა პოეზიის საღამოები და გამოფენები. 30 მაისს, თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალთან დაკავშირებით, მუზეუმმა, ამჯერად, ცნობილ მწერალსა და მთარგმნელს, ლიტერატურათმცოდნე **გასტონ ბუაჩიძეს** უმასპინძლა.

გასტონ ბუაჩიძე დაიბადა თბილისში. მამა – ქართველი, დედა კი ფრანგი ჰყავდა. დაამთავრა ლვოვის უნივერსიტეტი, ფრანგული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ლიტერატურის პროფესორი და ნანტის უნივერსიტეტის შედარებითი ლიტერატურის სწავლების ასოცირებული პროფესორი. მისი კვლევების ძირითადი თემა ქართულ-ფრანგული ლიტერატურული კონტაქტები იყო. გასტონ ბუაჩიძე იყო თბილისის და ნანტის დაძმობილების ინიციატორი, ასევე ფიროსმანის ნამუშევრების ნანტის ხელოვნების მუზეუმში 1999 წლის გამოფენის ორგანიზატორი.

მწერალთან შეხვედრას უამრავი სტუმარი ესწრებოდა. მათ შორის იყვნენ გასტონ ბუაჩიძის მეგობრები და ახლობლები; ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: გამომცემლობა „წიგნი-ერის“ წარმომადგენლები, ფიროსმანის სახელობის საერთაშორისო შემოქმედებითი ასოციაციის წევრები, მხატვარი **რეზო ემელიანე ადამია**. საღამო მუსიკალურად გააფორმეს: ვოკალურმა ჯგუფმა „მაესტრო“ – **ნაირა ნაჩხატაშვილი**; მე-8 და ევგენი მიქელაძის სახელობის მე-2 მუსიკალური სკოლების მოსწავლეებმა; ღონისძიებასთან დაკავშირებით მუზეუმის დარბაზში და ხის აივნებზე გამოფენილი იყო ხეზე კვეთის ოსტატის, მხატვარ **ლევან ნოზაძის** ნამუშევრები, რომელმაც საპატიო სტუმარს საჩუქრად საკუთარი ნამუშევარი „ძველი თბილისი – მონატრება“ გადასცა. ღონისძიების ორგანიზატორი მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი **რუსუდან ჯაყელი** გახლდათ. გასტონ ბუაჩიძემ თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვან ეპიზოდებზე ისაუბრა.

რუსუდან ჯაყელი: „მოგეხსენებათ, კულტურა და განათლება განუყოფელი ნაწილია ჩვენი ქვეყნის განვითარებისა. სწორედ ამიტომ, ჩვენი მუზეუმის კურსი განათლების ხელშეწყობაა. მუზეუმში ხშირად ვატარებთ მსგავს კულტურულ ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავს ახალგაზრდების განათლებასა და ინფორმირებას. წიგნის ფესტივალთან დაკავშირებით, გადავწყვიტეთ საზოგადოებასთან შესახვედრად, სტუმრად გასტონ ბუაჩიძე მოგვეწვია, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული კულტურის საზღვარგარეთ გატანასა და გაცნობაში. დიდი მადლობა მუზეუმის დირექციას, თანამშრომლებს, ღონისძიების ყველა მონაწილეს, ხეზე კვეთის ოსტატ ლევან ნოზაძეს, რომელმაც არაჩვეულებრივი ნამუშევრებით კიდევ უფრო გაგვილამაზა დღევანდელი დღე“.

გასტონ ბუაჩიძე: „დიდი მადლობა მუზეუმის დირექტორს, ქალბატონ **ნანა ელიზბარაშვილს**, დამსწრე საზოგადოებას, ღონისძიების ორგანიზატორს, ქალბატონ რუსუდან ჯაყელს და მონაწილეებს დღევანდელი დღისთვის. მუზეუმში შემოსვლისას, ბარათაშვილის უკვდავმა ხმამ შემახსენა: „რომე ქართველებს არად მიაჩნისთ უბედურება, თუ აქვსთ ჭერ-ქვეშე თავისუფლება“. ამაზე ბრძნული ნათქვამი არ მეგულება. დღეს, თქვენთან შესახვედრად ერთმა წიგნმა მომიყვანა, რომელიც შემონახული მქონდა თბილისში, ჩემს ბიბლიოთეკაში. ეს არის 1968 წელს გამოცემული ორენოვანი წიგნი – ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ და „კრებული“. თავის დროზე, ამ გამოცემით ფრანგი გამომცემელი დაინტერესდა. ჩემმა გულითადმა მეგობარმა გრიგოლ აბაშიძემ, რომელიც მაშინ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო, მთხოვა, სიტყვასიტყვით მეთარგმნა ეს კრებული. რა თქმა უნდა, თხოვნა შევუსრულე და კრებული გამოიცა მთარგმნელის, **სერგი წულაძის**, წინასიტყვაობით და ზოგიერთი ლექსის მისივე თარგმანით, მათ შორის „მერანის“. დანარჩენი ტექსტები, ჩემი სიტყვასიტყვითი თარგმანის მიხედვით, ფრანგმა პოეტებმა ააჟღერეს. სწორედ ამ ამბავმა მისცა ბიძგი შემდეგში ჩემს მრავალ თარგმანს, სულ 9 წიგნი გამოვეცი.

ბედნიერი ვარ, ჩემი მამული საქართველოა, დედულეთი – საფრანგეთი. ხშირად მეკითხებიან – თქვენ ნახევრად ქართველი ხართ, თუ ნახევრად ფრანგი? ყველას ვპასუხობ: 100 პროცენტით ქართველი და 100 პროცენტით ფრანგი.

დაბადებიდანვე აღმოვჩნდი სამი ენის წიაღში. წარმოიდგინეთ სამი განსხვავებული ენა და სამი განსხვავებული ანბანი. სამივე ენა დღემდე თან მომყვება. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის ურთულეს ეპოქაში ვცხოვრობდით, მშობლებს ხშირად ფრანგულად ველაპარაკებოდი. ჩემი შვილიშვილი, რომელიც ნანტში ცხოვრობს, მეკითხება: „ბაბუკა, რა არის საბჭოთა კავშირი?“ – ამაზე უკეთესი შეკითხვა არასოდეს გამიგონია. როდესაც დედასთან ერთად შევდიოდი საზოგადოებრივ ტრანსპორტში, დედა მეუბნებოდა, ახლა გავჩუმდეთ, იმიტომ რომ მაშინ საშიში იყო ფრანგულად ლაპარაკი.

არსებობს გამოთქმა: ყველაფერი ბეწვზე ჰკიდია, ფრანგებისთვის ყველაფერი ძაფზე ჰკიდია და არსებობს ასევე წამყვანი ძაფი. აღმოჩნდა, რომ ხუთი წამყვანი ძაფი მქონდა ცხოვრებაში. პირველი ძაფი იყო ის, რომ ვასწავლიდი ორ უნივერსიტეტში, თბილისის უნივერსიტეტში და შემდეგ, კარიერა ნანტის უნივერსიტეტში დავამთავრე. საოცარი ის არის, რომ ფრანგ სტუდენტებს ვასწავლიდი ისეთ საგანს, რომელიც არასოდეს გაუგონიათ, ეს იყო ფრანგული მწერლობა. მეორე ძაფი იყო, სამეცნიერო კვლევა. ორი დისერტაციის ნაცვლად, სამი დავიცავი. საკანდიდატო და სადოქტორო – თბილისში, ხოლო ერთი სადოქტორო დისერტაცია – სორბონის უნივერსიტეტში, რომელიც ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიას მივუძღვენი. ჩემი ცხოვრების წამყვანი მესამე ძაფი ლიტერატურული თარგმანია. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, აქ გრიგოლ აბაშიძემ და შოთა რუსთაველმა მიბიძგეს – როდესაც წავიკითხე: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანევი“, ამის ადაპტირება გავაკეთე და ვიფიქრე, რომ უნდა იყოს: „ესე ამბავი ქართული, ფრანგულად ნათარგმანევი“. ყოველთვის, როდესაც გადადიხარ ერთი ენიდან მეორეში, გადადიხარ ერთი სამყაროდან მეორეში და ამით ორმაგი სიცოცხლე გერგუნება.

მეოთხე წამყვანი ძაფი გახლავთ ლიტერატურული შემოქმედება. მოგეხსენებათ, წიგნები დაწერილი მაქვს ფრანგულად, რუსულად, ქართულად. როცა წერ ამა თუ იმ ენაზე, ყოველთვის სხვანაირად იწერება. ბედმა გამიღიმა, ნანტში არსებობს ლიტერატურული აკადემია, სადაც ლიტერატურულ საქმიანობას ვეწევი. საფრანგეთში ყოფნის დროს მუდამ თან მსდევს მტკვარი და ლუარა. სწორედ ლუარის პირას „შევხვდი“ ჩემ სამ ახლობელ ადამიანს – მწერალ ფრანსუა რაბლეს, რომელიც ძალიან მიყვარს. ის ამბობს: „ადამიანის მთავარი დანიშნულებაა, რომ იცინოს“. თუ აღარ გაქვს შემთხვევა, რომ რაღაცაზე იცინო, თუნდაც უკანასკნელი სიცილი იყოს ის შენი, ჯობია გაიცინო და ისე გაქრე. ჟიულ ვერნს, რომელსაც ბავშვობაში ვბაძავდი, მადლობა ღმერთს ჩემი ხელნაწერი დაიკარგა, თუმცა ის არავის არანაირ ზიანს არ მიაყენებდა და ვიქტორ ჰიუგოს, რომლის დედა ნანტში დაიბადა.

მეხუთე ძაფი არის „ქართული ფერწერის ნაამბობის მოსმენა“. 1981 წელს, თბილისში, შავ-თეთრი ილუსტრაციებით, რუსულ ენაზე გამოიცა ჩემი წიგნი ფიროსმანზე. არ მავიწყდება გამომცემლობის დირექტორის, **ოთარ ეგაძის**, თანადგომა. წიგნი 100 000 ტირაჟით გამოიცა. სამწუხაროდ, მას შემდეგ, საქართველოში მსგავსი წიგნის გამოცემით ვერავინ დავაინტერესე. საბედნიეროდ, პარიზში აღმოჩნდა გამომცემელი, რომელიც დაინტერესდა და სულ მალე, გამოსცემს ტრილოგიას ქართულ ფერწერაზე, რომელსაც დაერქმევა – „სადღეგრძელო თევზით“. სადღეგრძელო თევზით უნიკალური მოვლენაა, საქართველოშიც და მთელ მსოფლიოში. არც მანამდე და არც მას შემდეგ, არც ერთი ქართველი არ მინახავს (თუ ნახავთ, შემატყობინეთ) სადღეგრძელოს ამბობდეს თევზით. ეს ისეთივე უნიკალურია, როგორც ჯოკონდას ღიმილი. ტრილოგიის პირველი ნაწილი ნიკო ფიროსმანს დაეთმობა, მეორე – ლადო გუდიაშვილს და მესამე – დავით კაკაბაძეს. ამით ვამთავრებ: „ორი ნიკოლოზის ხმა მესმის“. ესენი არიან – ნიკოლოზ ბარათაშვილი და ნიკალა ფიროსმანი“.

ქართული როგორც მეორე ენა

ემოციური სამუშაო შეხვედრა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან

14 მაისი მეტად მნიშვნელოვანი დღე იყო ჩვენი პროგრამის „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ (ხელმძღვანელი – **მაკო ჭილაშვილი**) მასწავლებლებისთვის. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და ჩვენი პროგრამის მასწავლებლის, **შორენა ხუხუას** ორგანიზებით შედგა სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში უწყებათაშორისი კომისიის სამუშაო შეხვედრა თემაზე „განათლება და სახელმწიფო ენა“. შეხვედრას ესწრებოდნენ სახელმწიფო მინისტრი **პაატა ზაქარეიშვილი**, მინისტრის აპარატის სამოქალაქო ინტეგრაციის სამმართველოს წარმომადგენლები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან – **თამარ ჯაყელი**, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრიდან – **ნინო ელბაქიძე**, **თამარ კეკელიძე** და პროგრამის ხელმძღვანელი **მაკო ჭილაშვილი**, გამოცდების ეროვნული ცენტრიდან – **მაია გაბუნია**, სახალხო დამცველის ოფისის, სამოქალაქო ინტეგრაციის ცენტრის, მრავალეროვანი საქართველოს, კავკასიური მოზაიკას, იაროსლავნას, საქართველოს სომეხთა თანამშრომლობის ცენტრის წარმომადგენლები და პროგრამის „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ პედაგოგები, რომლებმაც დამსწრე საზოგადოებას ჩვენ მიერ გაწეული სამუშაოსა და მიღწეული შედეგების ამსახველი მრავლისმეტყველი მასალები წარუდგინეს.

ქალბატონმა მაკო ჭილაშვილმა თავის პრეზენტაციაში ისაუბრა პროგრამის მნიშვნელობაზე, პრობლემებზე, მიზნებზე, მიღწევებზე, პროგრამაში მასწავლებელთა შერჩევის პირობებსა და სამომავლო გეგმებზე.

შორენა ხუხუამ (სადახლოს პირველი საჯარო) წარმოადგინა მის მიერ დაარსებული „ჭკვიან გოგონათა კლუბის“ მიერ გამოცემული აზერბაიჯანული და სომხური ლექსებისა და ანდაზების ქართული თარგმანების პატარა კრებული, რომელშიც უზარმაზარი შრომა, სიყვარული და პატივისცემა იყო ჩადებული.

თემურ შალამბერიძემ (ქვემო არქევანი) და **ნათია გოგიაშვილმა** (მამხუტი) მათი სკოლების აფხაზურ სკოლასთან დამეგობრებისა და ურთიერთობის ისტორია წარმოადგინეს.

ნანა არაბულმა (სოფელ კირიხლოს საჯარო სკოლა) კი იმის შესახებ მოგვითხრო, როგორ იყენებს სოციალურ ქსელს – ფეისბუკს – აზერბაიჯანულენოვან მოსწავლეთათვის ქართული ენის შესასწავლად.

ქალბატონმა **ლალი ასლამაზიშვილმა** (სოფელ ქვემო ბოლნისის საჯარო სკოლა) წარმოადგინა თემა რელიგიურ ტოლერანტობაზე, კერძოდ, საკულტო ნაგებობების შესწავლისას დანახული მნიშვნელოვანი ერთიანობა სხვადასხვა რელიგიებს შორის.

მე საზოგადოებას ალასტანისა და ჩაქვის სკოლების დამეგობრების ისტორია წარვუდგინე.

ძალიან შთამბეჭდავი იყო **ნათია მანიას** (სადახლოს მეორე საჯარო სკოლა) პრეზენტაცია, რომელიც ეხებოდა მარნეულში ჩატარებულ მოსწავლეთა ნაშრომების გამოფენას „ეთნოპალიტრა“, რომლის ანალიზმა საკმაოდ სერიოზული პრობლემა წამოსწია – ტოლერანტობის პრობლემა არა აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან მოსწავლეებში, არამედ ქართველ მოსწავლეებში.

მასწავლებელთა პრეზენტაციების შემდეგ გაიმართა საინტერესო დისკუსია პრობლემებზე – რა არის საჭირო იმისათვის, რომ მოხდეს ჩვენი ეთნიკურად სომეხი და ეთნიკურად აზერბაიჯანელი თანამემამულეების სრულფასოვანი ინტეგრაცია ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში, დაისვა საკითხი ახლანდელი სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტების სამომავლო დასაქმების პრობლემებზე, სახელმძღვანელოებზე, პროფესიულ და ინფრასტრუქტურულ განვითარებაზე.

სახელმწიფო მინისტრმა ყურადღება გაამახვილა ჩვენი მუშაობის მნიშვნელობაზე და ასეთი სამუშაო შეხვედრების აუცილებლობაზე (ეს რიგით მეორე შეხვედრა იყო ბატონ პაატა ზაქარეიშვილთან) იმისათვის, რომ ერთიანი ძალით შევიტანოთ ჩვენი წვლილი ქართული ნაციის ჩამოყალიბებაში.

P.S. მიხარია, რომ ამ ბოლო დროს მთლიანად სახელმწიფო გააქტიურდა ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობის მიმართულებით. ასევე, სხვადასხვა სახელმწიფო, არასამთავრობო და საგანმანათლებლო სტრუქტურები თავს ვალდებულად თვლიან, იმუშაონ ამ მიმართულებით. ახლო მომავალში, უფრო ზუსტად კი 8 ივნისს, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე და ჩვენი პროგრამის მასწავლებლები ვგეგმავთ მრგვალ მაგიდას თემაზე „ჩვენ საქართველოს შვილები ვართ“ – ჩვენი ეთნიკურად სომეხი და ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსწავლეების მონაწილეობით.

ინგა ბაგრატიონი

ჩემი ქართული სომხური სოფელი

გთავაზობთ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ალასტანის საჯარო (სომხურენოვანი) სკოლის XI კლასის მოსწავლის – თაგუში მაკარიანის თემას, რომელმაც პირველი ხარისხის დიპლომი მიიღო მოსწავლეთა 68-ე შემოქმედებით კონფერენციაზე საქართველოს ისტორიის სექციაში, თემის ხელმძღვანელი – **ინგა ბაგრატიონი**

როცა ჩვენმა ქართული ენის მასწავლებელმა შემოგვთავაზა მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაში მონაწილეობა, ვიფიქრე, რომ ეს იქნება ძალიან კარგი შანსი ჩემთვის გავაცნო ჩემი ისტორიული სოფელი ჩემს თანატოლებს; გავიცნო ჩემი ქართველი თანატოლები იმისათვის, რომ მათ არასოდეს დაებადოთ შეკითხვა – ახალქალაქი საქართველოა თუ სომხეთი. მართალია, ეს რეგიონი 90%-ზე მეტად დასახლებულია სომხებით, მაგრამ ეს მიწა იყო, არის და იქნება ქართული. ჩვენი აქ ყოფნა არის ისტორიული დასტური იმისა, თუ რამდენად კაცთმოყვარე, სტუმართმოყვარე და ტოლერანტული ერია ქართველი ერი. ამ ორი ერის თანამეზობლობის და თანაარსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ბევრი რამ იყო კარგიც და ცუდიც, მაგრამ ორივე ერს შესწევდა და შესწევს უნარი იმისა, რომ დაივიწყონ ცუდი, ახსოვდეთ კარგი და ყოველთვის, როცა ეს საჭიროა, ერთმანეთს გაუწოდონ დახმარების ხელი და გვერდიგვერდ დგომით გააძლიერონ ერთმანეთი. ჩვენს ორ ერს წმინდა შუშანიკიც ეყოფა ერთმანეთისათვის პატივისცემის გამოსახატავად, მაგრამ მე დღეს არ ვიკვლევ ჩვენი ორი ერის ისტორიულ კავშირებს. მე მინდა მოგითხროთ ერთი პატარა სოფლის შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ იპოვა საკუთარი მიწაწყლიდან აყრილმა ხალხმა თავისი სამშობლო ქართულ მიწაზე.

ალასტანი სოფელია ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, მდინარე ჭობარეთის ორივე ნაპირზე. ზღვის დონიდან 1666 მეტრზე, ახალქალაქიდან დაშორებულია 22 კმ-ით.

ალასტანი უძველესი ისტორიული სოფელია ახალქალაქში. XIII-XIV საუკუნეებში საუფლისწულო მამული იყო, ქართველ მეფეთა და უფლისწულთა რეზიდენცია. თუ რა როლს თამაშობდა სოფელი საქართველოს ისტორიაში, წარმოდგენა შეგვექმნება, თუ გავიხსენებთ, რომ ლაშა-გიორგის ალასტანელ მეფეს ეძახდნენ. ლაშა-გიორგის გარდა ალასტანელი მეფეები ყოფილან დავით და მელქისედეკ, რუსუდან დედოფლის შემდეგ. ეტყობა მონღოლების დროს ერთი შტო ბაგრატიონთა გამეფებულა ალასტანში.

სოფლის ცენტრში დგას X-XI სს. დარბაზული ეკლესია. ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე არის ორი წარწერა. ერთი იკითხება: „ესე მე ოძელმან დავდე ქვა“. მეორე წარწერის წაშლა უცდიათ საგულდაგულოდ, საღებავიც გადაუსვამთ ისე, რომ აღარ ირჩევა.

სოფლის კათოლიკური ეკლესიის მშენებლობას საძირკველი ჩაეყარა 1860 წელს და მისი მშენებლობა დამთავრდა 1863 წელს. ეკლესიის არქიტექტორები ყოფილან ბერძნები. თავდაპირველად სახურავი ხის ყოფილა, შემდეგ შეუცვლიათ ქვის სახურავით. ეკლესიას რესტავრაცია ჩაუტარდა 2007 წელს და განახლდა, მაგრამ შეუნარჩუნდა თავდაპირველი სახე.

ეკლესიის სამხრეთ კედელზე არის წარწერა, რომელიც არ იკითხება, ამბობენ, ეს წარწერა ერთ ურწმუნო ადამიანს წაუშლია და გაუნადგურებია, ამის შემდეგ ის ძალიან მტკივნეული სიკვდილით მომკვდარა.

მთავარი შესასვლელი კარის ზემოთ არის მარმარილოს ქვაზე გამოსახული ღვთისმშობელი, ეს ქვა მოტანილია იტალიიდან, ამ ქვას დღესაც ეტყობა თურქი ჯარისკაცის მიერ ნასროლი ტყვიის კვალი. ერთი სიტყვით, ჩემი სოფლის ეკლესიას დღესაც ეტყობა თურქი ჯარისკაცის „სამახსოვრო საჩუქრის“ კვალი. მან ეს ტყვია მაშინ ესროლა ეკლესიის შესას-

ქართული როგორც მეორე ენა

ვლელს, როცა თურქები სამცხე-ჯავახეთს ტოვებდნენ, ამბობენ, ჯარისკაცი ადგილზევე მომკვდარა და ამის შემდეგ თურქებს ეკლესიისათვის ხელი აღარ უხლიათ.

სოფლის ქედს ამშვენებს ჭობარეთი. ამწვანებული მინდვრები, ხეები, წითელი ყაყაჩოები ასოცირდება სოფელ ალასტანთან. ალასტანს სუფთა ჰაერი, კამკამა წყალი სამოთხის სახეს აძლევს. ახალქალაქისაკენ მიმავალ გზაზე, სოფლის ცენტრში, კლუბის ეზოში დგას ლევინ დარბინიანის ქანდაკება, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიიღო გმირის წოდება.

1830-იან წლებში ერზრუმის არწათი სოფლის მოსახლეობა იძულებული იყო გადმოსახლებულიყო ისინი დასახლდნენ ალასტანში, დაახლოებით, 25 ოჯახი და 200 ადამიანი.



სოფელი არწათი მდებარეობდა ქალაქ ერზრუმიდან 15 კმ-ით ჩრდ. აღმოსავლეთით ყვავილოვან დიუმილის მთის ჩრდ. აღმოსავლეთ ქედზე. 1830-იან წლებში ვინც ვერ მოახერხა ჯავახეთში შემოსვლა და არწათიში დარჩა, მათზე სისტემატური თავდასხმები ხდებოდა, მოსახლეობას ანადგურებდნენ. თუმცა 1880-იან წლებში სოფლის 341 მოსახლიდან 210 მაინც სომეხი იყო. სომხების კვალი აქ 1915 წლის დიდი გენოციდის დროიდან ქრება.

ამ დროს კი ახალქალაქის ერთ-ერთ მხარეში, წვიმისა და მზის სხივების ზეგავლენით, ყვაოდა და აღმოცენდებოდა სოფელი ალასტანი. ალასტანი მთლიანად იმ სომხების შთამომავლებითაა დასახლებული, რომლებმაც 1828-1830 წლებში დატოვეს არწათი და დასახლდნენ ჯავახეთში.

არსებობს ორი ლეგენდა, თუ რატომ დაურქმევიათ ადგილისათვის „ალასტანი“. პირველი ვერსიის თანახმად, როდესაც სოფელში შემოსულან, წითელი ყაყაჩოები უნახავთ და ამიტომაც დაურქმევიათ „ალასტანი“. მეორე ვერსიის თანახმად, როდესაც შემოსულან სოფელში მინდვრებში უამრავი წითელი მარწყვი უნახავთ და ამიტომაც დაურქმევიათ „ალასტანი“. ამ ორივე ვერსიას ერთი საერთო აქვს – ორივეს თანახმად „ალ“ წითელს ნიშნავს, ხოლო „სტან“ ადგილს.

მაგრამ ჩვენთვის ცნობილია ის, რომ სანამ სომხები დასახლდებოდნენ ალასტანში, მანამდეც გვხვდება სოფელი ქართულ ისტორიულ წყაროებში.

მიუხედავად მოსახლეობის მძიმე სოციალური მდგომარეობისა, ალასტანელებს ყოველთვის ჰქონდათ სწავლის სურვილი. როდესაც თვით სოფელშიც არ ყოფილა განათლების მიღების საშუალება, ზოგიერთი მათგანი საზღვარგარეთ წასულა განათლების მისაღებად. ალასტანის სკოლა ყოფილა ერთ-ერთი უძველესი მთელ რეგიონში. 1837 წლის საარქივო მონაცემებიდან ირკვევა, რომ ახალქალაქში არსებული 10 სომხური სასწავლებლისაგან და 5 კათოლიკური გიმნაზიისგან ერთ-ერთი ალასტანში იყო გახსნილი. ალასტანი წარმოდგენილი იყო სულ 15 მასწავლებლითა და 156 მოსწავლით.

1921 წელს გაცილებით იზრდება სოფლის მოსახლეობის რიცხვი და არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებები ვეღარ იტევს მოსწავლეებს, დღის წესრიგში დგება სკოლის აშენების საკითხი (მანამდე, სანამ სოფლის მოსახლეობა საკუთარი სახსრებით ააშენებდა სკოლას, გაკვეთილები ქართულ ეკლესიაში ტარდებოდა). ბოლოს და ბოლოს, 1928 წელს, მთავრდება სკოლის მშენებლობა. ამ სკოლას, 1988 წელს, ჰყავდა 1000-ზე მეტი მოსწავლე, მათ შორის 11 მედალოსანი.

ალასტანელებს შეუძლიათ იამაყონ მათი წარჩინებული მოსწავლეებით, რადგან პეტრის ჰაკობის-ძე ბეზირგანიანი დაიბადა სკოლა დაამთავრა ალასტანში. მან დააარსა პირველი ფიზიკა-მათემატიკის ამბიონი ერევანში და სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა მას. იყო დოქტორი, პროფესორი ფიზიკა-მათემატიკის დარგში, მისი კვლევები ეხებოდა რენდგენულ სხივებს. წარდგენილი იყო ნობელის პრემიაზე ფიზიკის დარგში.



* * *

გაგიკ მკრტჩიანის ნაამბობი, რომელიც ეწვია არწათის ჩვენს ფუძეს და აკვანს.

– რა იცით ჩვენს სოფელზე?

– ჩვენს სოფელში, 1828 წელს, ერზრუმის არწათი სოფლის მოსახლეობა დასახლდა. დაახლოებით იქნებოდა 25 ოჯახი და 250 ადამიანი, ისინი იძულებულები იყვნენ დაეტოვებინათ სამშობლო, სახლ-კარი, კარ-მიდამო, რადგან გადარჩენის ერთადერთი გზა გაქცევა, სამშობლოს დატოვება იყო.

– რა იყო მიზეზი იმისა, რომ დატოვეს საკუთარი მიწა-წყალი და საქართველოს შეაფარეს თავი?

– იცი რას გეტყვი, სომხებს და ქართველებს ერთი საერთო გვაქვს – ეს საერთო ჩვენი სარწმუნოებაა და ამიტომაც საქართველოს შეაფარეს თავი. რაც შეეხება წამოსვლის მიზეზს, ეს იყო სომხების შევიწროებით გამოწვეული, თურქები სომხებს დევნიდნენ როგორც ნაციონალობით, ასევე რელიგიით. თურქებმა უამრავ ხალხს მიაყენეს ტკივილი, მაგრამ სომხებისა იყო განსაკუთრებული ტკივილი, ტკივილი დედისა, რომელმაც დაკარგა შვილი, ტკივილი ხალხისა, რომელმაც დაკარგა სამშობლო, მიწა-წყალი, სახლები...

– ვიცი, რომ იყავით არწათში, რას მიამბობთ მის შესახებ?

– არწათი თითქმის ჩვენი სოფლის ტოლია ტერიტორიით, იქ დღესაც არის დიდი ეკლესია, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა ააშენეს. შუა საუკუნეებში სოფელს ჯერ არწათლი, შემდეგ არწათლუ და არწათი ერქვა, ახლა კი ესირიაილა ჰქვია.

– ეკლესიაზე რას მეტყვით?

– ეკლესია მაშინდელ შენობებთან შედარებით გაცილებით დიდია. ეკლესიის გარე კედლები მთლიანად არის ჩამოშლილი ისე, რომ არაფერი არ ირკვევა. ადგილობრივმა მკვიდრმა გვითხრა, როცა სომხები აქედან გაყარეს, მე პატარა ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს, როგორ დაავალეს აქაურებს ეკლესიის კედლები მთლიანად ჩამოეფხიკათ, რათა სომხების კვალიც კი არ დარჩენილიყო.

– სოფელზე მიამბეთ? ლამაზი სოფელია?

– კი, ძალიან ლამაზი სოფელია, ამწვანებულია როგორც აქაურობა, არის ალვის ხეები, პატარა მოჩხრიალე ნაკადული, ერთი სიტყვით, ჩვენს სოფელს ძალიან ჰგავს.

– არ გეშინოდათ, როცა მიდიოდით?

– რა თქმა უნდა, მეშინოდა, მაგრამ ის ხომ ჩვენი სამშობლო იყო, ის ხომ ჩვენი წინაპრების მიწა-წყალი იყო, ჩვენი საუნჯე...

– ადგილობრივებს თუ გაესაუბრეთ ამ სოფლის შესახებ?

– ადგილობრივების თქმით, ჩვენ პირველი სომხები ვიყავით, ვინც ეს მიწა მოინახულა. მათ დღესაც ჰგონიათ, რომ მოუწევთ ამ ადგილის დატოვება, რომ სულ მალე შეიძლება სომხები დაბრუნდნენ, ეს ხომ მათი მიწაა, საიდანაც იძულებით გადაასახლეს.

– ჩვენი წინაპრების საფლავები თუ არის შემორჩენილი?

– კი, შემორჩენილია და ვნახე კიდეც, მაგრამ არცერთ საფლავის ქვაზე არ იყო ჯვარი, გარდა პატარა ბავშვის საფლავის ქვისა, რომელმაც ჩემზე ძალიან იმოქმედა.

* * *

ჩვენი სკოლის ეთნოგრაფიული მუზეუმის დამაარსებელი და მფარველი ქალბატონი **ნუნუფარ ზატიკიანის** ნაამბობი, რომელმაც თავმდაბლობის გამო უარი მითხრა ფოტოს გადაღებაზე.

– როდის დააარსეთ ჩვენი სკოლის მუზეუმი?

– მუზეუმი 2003 წელს დავაარსე.

– როგორ შეაგროვეთ ექსპონატები?

– ექსპონატები სკოლის მუზეუმს სოფლის მოსახლეობამ აჩუქა. როდესაც სტუმრად მივდიოდი მეზობელთან ან ნათესავთან, როდესაც ძველ ნივთს ვნახავდი, ვთხოვდი, რომ სკოლის მუზეუმისათვის ეჩუქებინათ. მომქონდა სკოლაში და ასე შევაგროვე ამდენი ნივთი.

– ალბათ იცით, ვინ რა გაჩუქათ?

– როცა სკოლაში მომქონდა, მაშინვე წარწერას ვუკეთებდი... დღეს ყველა ნივთს თავისი ყოფილი მფლობელის სახელი და გვარი აწერია.

– არწათი სოფლიდან რაიმე ნივთი თუ გაქვთ?

– როგორ არა, მაქვს. მაქვს მიწა, რუკა და ვერცხლის ძაფით ხელით ნაქარგი ნაჭერი.

– ალასტანზე რას მეტყვით?

– ალასტანი უძველესი ისტორიული სოფელია. ალასტნელები სტუმართმოყვარე ხალხია, ისინი ძალიან შრომისმოყვარე და ჭკვიანები არიან.

– მადლობას გიხდით იმისთვის, რომ ასე უფრთხილდებით ჩვენს ისტორიას, რომ არა ისტორია, არ გვეცოდინებოდა, ვინ ვართ, საიდან მოვდივართ და სად მივდივართ...

* * *

დაბოლოს, ჩვენ ხომ ორი ძმის – ჰაოსისა და ქართლოსის – შვილები ვართ. ჰაოსი და ქართლოსი იყვნენ ისეთი ძმები, რომლებიც თავს გაწირავდნენ ერთმანეთისათვის, ისეთი ძმები, რომლებიც ყველაფერს გააკეთებდნენ ერთმანეთის დასაცავად, ერთმანეთის გადასარჩენად. ჩვენ და თქვენ ამ ძმების ღირსეული წარმომადგენლები ვართ, რომლებიც გვერდიგვერდ ვცხოვრობთ, დაახლოებით 190 წელია. ჩვენ, სომხები, ვცხოვრობთ საქართველოში ქართველ ხალხთან ერთად, საქართველო ჩვენი სამშობლო არის. ჩვენც ისევე გვიხარია საქართველოს წარმატება, როგორც თქვენ, ჩვენც ისევე გვწუხს და გვტკივა საქართველოს სატკივარი, როგორც თქვენ.

როდესაც ინფორმაციას ვეძებდი საქართველოზე, გავიგე, რომ თურმე რუსებს სხვადასხვა ერები ჩამოუსახლებიათ საქართველოში, რათა ერებს შორის განხეთქილება ჩამოვარდნილიყო და ქართველებს სხვა ერები საქართველოდან „გაეყარათ“, მაგრამ ასე არ მოხდა და ქართველებმა თავშესაფარი მისცეს სომხებს, რომლებსაც განადგურება ელოდათ. მართალია სომეხი ერი არ დაეცემოდა, მაგრამ ერზრუმის არწათი სოფლის მცირე მოსახლეობა ნამდვილად გაქრებოდა, განადგურდებოდა და მათი კვალიც კი არ დარჩებოდა ქვეყანაზე, რომ არა ქართველი ერი, რომელმაც შეიფარა და თავშესაფარი მისცა სომხებს. ქართველებმა დროებით, მაგრამ მაინც გაათავისუფლეს სომხები გადასახადებისაგან, სანამ წელში არ გაიმართებოდნენ.

და კიდევ ის, რომ ჩვენს სოფელში განათლების სამინისტროს სამი სახელმწიფო პროგრამა მუშაობს, ეს გვაძლევს საშუალებას, რომ მე და ჩემმა თანატოლებმა შევისწავლოთ საქართველოს სახელმწიფო ენა – ქართული, მივიღოთ მონაწილეობა სხვადასხვა ოლიმპიადებსა და კონფერენციებში, რაც აქამდე წარმოუდგენელი იყო ჩვენი სოფლის სკოლისათვის. ქართული ენის ცოდნა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ თავი არა უბრალოდ სტუმრად, არამედ ამ მშვენიერი ქვეყნის სრულუფლებიან წევრად ვიგრძნოთ. თუ აქამდე ჩვენი სოფლის ახალგაზრდობა მხოლოდ სომხეთისკენ იყურებოდა, ახლა უკვე თანდათან იწყებენ ფიქრს იმაზე, როგორ ემსახურონ ქვეყანას, რომელმაც მიიღო და შეითვისა მათი წინაპარი, ასწავლა მას და აძლევს უკეთეს პერსპექტივებს.

თუ გსურთ ჩვენი სოფლის ქართულ-სომხურ ისტორიას ხელით შეეხოთ, ნახოთ ვარდობის თვეს მთებზე შემოფენილი თოვლი, დაინახოთ საქართველო წმინდა ნინოს თვალით, შეისუნთქოთ ის ჰაერი, იჯირითოთ იმ მინდვრებში, შეეხოთ იმ ეკლესიას, რომლითაც სუნთქავდა, სადაც ჯირითობდა, სადაც ლოცულობდა ლაშა-გიორგი – გვესტუმრეთ, გვნახეთ და გაგვიცანით...

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

ვისწავლოთ განსხვავებული აზრის და შეხედულებების პატივისცემა

რუბრიკის სტუმარია დეუსთოს უნივერსიტეტის სტუდენტი ქეთი ჩადუნელი

– ქეთი, მიამბე რა გზა გაიარე საქართველოდან ესპანეთამდე და რატომ აირჩიე განათლების მისაღებად ესპანეთი?

– სწავლა და საფუძვლიანი განათლების მიღება, შემიძლია თამამად ვთქვა, ჩემი ოჯახის ერთ-ერთი ძირეული ფასეულობაა. შესაბამისად, ბავშვობიდან ჩანერგილი მქონდა განათლების აუცილებლობა და ყოველთვის მსურდა, საინტერესო, მრავალფეროვან და წარმატებულ გარემოში მესწავლა.

დავიბადე და გავიზარდე ხაშურში. X კლასის ჩათვლით ვსწავლობდი ხაშურის მე-3 საჯარო სკოლაში, სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ჩემი ოცნებების ასრულება, საზღვარგარეთ განათლების მიღებასთან დაკავშირებით. ბედნიერი ვარ, რომ 16 წლის ასაკში გავიმარჯვე „მომავალ ლიდერთა გაცვლით პროგრამაში" (FLEX), რომელიც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ფინანსდება და პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან მოსწავლეების, ერთი სასწავლო აკადემიური წლით, ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრებასა და სწავლებას ითვალისწინებს. ჯორჯიის შტატში გატარებულმა ერთწლიანმა ამერიკულმა გამოცდილებამ სრულიად გაამყარა ჩემში საკუთარი თავის რწმენა, რწმენა იმისა, რომ თუ მიზანს დავისახავდი და ბევრს ვიშრომებდი, წარმატებას აუცილებლად მივაღწევდი. სწორედ FLEX-ის გაცვლითი პროგრამის დამთავრების შემდეგ გავხდი უფრო მეტად მიზანმიმართული.

ბაკალავრიატი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე, პოლიტიკური მეცნიერებების მიმართულებით დავამთავრე. სტუდენტობის პერიოდში აქტიურად ვიყავი ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში. ვმონაწილეობდი სხვადასხვა პროექტებში. მსურდა, ამერიკაში მიღებული გამოცდილება მაქსიმალურად გამეზიარებინა თანატოლებისთვის. სწავლის პარალელურად ვცდილობდი, პროფესიული გამოცდილებისთვისაც მიმექცია ყურადღება და სტაჟირებას გავდიოდი სხვადასხვა ორგანიზაციაში. ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდეგ, იუსტიციის სასწავლო ცენტრში ვმუშაობდი. ამაყი და ბედნიერი ვარ, რომ მქონდა საშუალება მემუშავა პროფესიონალი და ნოვატორი ადამიანების ჯგუფში, სადაც ყოველდღიურად ვიზრდებოდი როგორც პროფესიულად, ასევე პიროვნული თვალსაზრისით. მუშაობის პარალელურად სწავლა გავაგრძელე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე. მაგისტრატურის პერიოდში იმ ხუთ სტუდენტს შორის მოვხვდი, რომლებიც კოლუმბიის უნივერსიტეტში გააგზავნეს, ლექციებზე დასასწრებად საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მიმართულებით. ესპანურმა ენამ, ამერიკაში, სკოლის პერიოდშივე გამიტაცა. იქ მხოლოდ ერთი სემესტრი ვისწავლე და მსურდა, მომავალში სწავლა ესპანეთში გამეგრძელებინა. შესაბამისად, ყოველთვის ვეძებდი გამოცხადებულ სტიპენდიებს, სწავლების შესაძლებლობებს და აი, ერასმუს მუნდუსის პროგრამის ფარგლებში მაგისტრატურის სრული კურსი დეუსთოს უნივერსიტეტში, ესპანეთში აღმოვაჩინე. მაქსიმალურად მოვემზადე, შევეცადე, რომ დაფინანსება ამეღო და ჩემი ოცნება ესპანეთში სწავლებასა და ცხოვრებაზე სისრულეში მომეყვანა.

– მიამბე დეუსთოს სასწავლებლის ისტორია, რამდენწლიანია და რა ღირს სწავლა? სტიპენდიის შენარჩუნება რთულია?

– დეუსთოს უნივერსიტეტი ერთ-ერთი პრესტიჟული და საკმაოდ ცნობილი უნივერსიტეტია ესპანეთში. ის 1886 წელს დაარსდა და დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს. უნივერსიტეტი მრავალფეროვან და კომფორტულ გარემოს სთავაზობს სტუდენტებს – სპორტი, კულტურა, ღონისძიებები, რაც სწავლების პროცესს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის. ასევე უნივერსიტეტი აფინანსებს ესპანური ენის შემსწავლელ კურსს. როგორც კი ჩამოვედი, 2013 წლის აგვისტოში, ბილბაოში, მაშინვე დავიწყე ესპანური ენის შესწავლა. სამაგისტრო პროგრამა, რომელზეც ვსწავლობ, ორწლიანია და საკმაოდ საინტერესოდაა შედგენილი. ძალიან კმაყოფილი ვარ სწავლების დონითა და მიდგომებით, რაც უნივერსიტეტი იყენებს სწავლების წარმატებით განხორციელებისთვის. აქ ყველა პირობაა შექმნილი, თავი კომფორტულად და რეალიზებულად რომ იგრძნოს სტუდენტმა. რასაკვირველია, როდესაც გაქვს 22 000 ევროს ოდენობის დაფინანსება (ორწლიანი სამაგისტრო პროგრამისთვის), არის წესები და მოთხოვნები, რომელსაც ემორჩილები. შესაბამისად, სტიპენდიის შენარჩუნება კარგ სწავლასა და სასწავლო პროცესში აქტიურ ჩართულობას მოითხოვს, რასაც ამ დროისთვის წარმატებით ვართმევ თავს.

– რა პროფესიას ეუფლები და რამ განაპირობა პროფესიის არჩევანი?

– ვსწავლობ ევროკულტურისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამას, რომელიც მოიცავს ევროპის ისტორიის, კულტურის, პოლიტიკის სიღრმეებში წვდომას და გაანალიზებას. ასევე, თანამედროვე ევროკავშირის პოლიტიკურ თუ კულტურულ ურთიერთობებს სხვადასხვა ქვეყნებთან. ვინაიდან ბავშვობიდან მიზნად მაქვს დასახული, ვიმუშაო საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით (ვსწავლობდი საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირებასა და პოლიტიკურ მეცნიერებებს), ვფიქრობ, რომ ევროკულტურისა და პოლიტიკის საფუძვლიანად შესწავლა ჩემს სამომავლო პროფესიულ მიზანთან კიდევ უფრო დამაახლოებს. სწავლა 2013 წლის აგვისტოში დავიწყე და მაგისტრატურის პირველ კურსს ივნისში ვამთავრებ, სექტემბრიდან საინტერესო სტაჟირება მელოდება და შემდეგ უკვე საბოლოო, მეოთხე სემესტრი – სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა და დაცვა.

– რა პრივილეგიებით სარგებლობენ წარჩინებული სტუდენტები, არის თუ არა მათთვის რაიმე შეღავათები?

– ვფიქრობ, წარჩინებული და აქტიური სტუდენტი ყოველთვის გამოძებნის საჭირო პროგრამას, რათა ისწავლოს საზღვარგარეთ. ჩემ შემთხვევაშიც ასე იყო, ვიცოდი რა მინდოდა, რა მიმართულებით ვეძებდი სამაგისტრო პროგრამას და ვიპოვე კიდეც. როდესაც წარჩინებული და აქტიური სტუდენტი ხარ, გაქვს მოტივაცია, ინტერესი, გაიღრმაო ცოდნა, მიიღო საუკეთესო გამოცდილება და ამ ყველაფრის წარმოჩენას სათანადოდ მოახერხებ, პრივილეგირებული იქნები და მოგეცემა შანსი, ისწავლო საოცნებო აკადემიურ გარემოში.

– დეუსთოს უნივერსიტეტში, ალბათ, ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანი სწავლობდა. ვინ არიან ისინი, მოკლედ მიამბე მათ შესახებ.

– ვინაიდან დეუსთოს უნივერსიტეტი საკმაოდ ცნობილია ესპანეთში, აქ, ბევრი ცნობილი ადამიანი სწავლობდა. ცნობილ კურსდამთავრებულებს შორის არიან: ბასკეთის ყოფილი პრეზიდენტი **ხოსე ანტონიო აგირე**, კოლუმბიის ყოფილი პრეზიდენტი **რობერტო ურდანეტა**. ამავდროულად, ბევრ ცნობილ ბანკირს, მწერალსა და ფილმის რეჟისორს აქვს დამთავრებული დეუსთოს უნივერსიტეტი.

– რა შეგიძლია გვიამბო სასწავლო პროგრამებისა და ლექციების შესახებ, ასეთ სასწავლებლებში ლექციების წასაკითხად ცნობილ ადამიანებს იწვევენ, ვინ არიან ისინი?

– სასწავლო პროგრამა საკმაოდ წარმატებითაა ორგანიზებული. სამაგისტრო პროგრამის პირველი წელი სრული თეორიული კურსის შესწავლას ეთმობა, სადაც ბევრი საინტერესო საგანია შემოთავაზებული. აკადემიური პერსონალი მაღალკვალიფიციური და თავიანთ სფეროში წარმატებული პროფესიონალები არიან. სწავლების პროცესი მრავალფეროვან მიდგომებს ითვალისწინებს, რაც სასწავლო გარემოს კიდევ უფრო საინტერესოს და ხალისიანს ხდის. ხშირად ეწყობა კონფერენციები, შემეცნებითი ღონისძიებები, ღია სემინარები, რაც მაქსიმალურ ჩართულობას გულისხმობს და მე, როგორც სტუდენტს, მაძლევს საშუალებას მივიღო საჭირო ინფორმაცია და გავიღრმაო ცოდნა მეცნიერებების სხვადასხვა სფეროში.

– რა როლი უჭირავს ესპანეთში, კერძოდ ბილბაოში, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებს?

– სასწავლო პროცესი მდიდარი და კომფორტული ბიბლიოთეკის გარეშე ჩემთვის წარმოუდგენელია. ესპანეთშიც საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების კულტურა საკმაოდ მაღალ დონეზეა. დეუსთოს უნივერსიტეტს აქვს ლიტერატურის მდიდარი ბაზა, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს, ხელი მიუწვდებოდეს მისთვის საჭირო ლიტერატურაზე. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გარდა, ბილბაოში საჯარო ბიბლიოთეკების საკმაოდ მრავალფეროვანი გარემოა, რაც კიდევ უფრო საინტერესოს და კომფორტულს ხდის სასწავლო პროცესს. შესაბამისად, მსგავსი მიდგომის გამო, მეც სიხარულით მივდივარ ბიბლიოთეკაში სამეცადინოდ.

– როგორ ფიქრობ, რა უპირატესობა აქვს ევროპულ მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებს ქართულთან შედარებით?

– ვფიქრობ, სასწავლო პროცესში მოწესრიგებული და კომფორტული გარემო საკმაოდ მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის. საქართველოში დასახვენია სასწავლო პროგრამები, მათი მეტად მრავალფეროვნად და საინტერესოდ წარმართვაა საჭირო. მნიშვნელოვანია ბიბლიოთეკების, შენობისა და სასწავლო გარემოს სათანადო დონეზე მოწყობა და შენარჩუნება. მიმაჩნია, რომ საქართველოს უნივერსიტეტებში კვალიფიციური კადრების ნაკლებობა ნამდვილად არ არის, თუმცა კადრების სწორი მენეჯმენტი, უნივერსიტეტების მართვა და პროგრამების ინოვაციური გზებით დანერგვა ნამდვილად სასიკეთოდ წაადგება ქართულ სასწავლებლებს. კარგი და უფრო წარმატებული იქნება საქართველოში უნივერსიტეტები, თუ სხვადასხვა გაცვლით პროგრამას უმასპინძლებენ, რაც საშუალებას მისცემს სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტებს. მიიღონ განსხვავებული აკადემიური გამოცდილება. ამ ყველაფრის მისაღწევად კი სასწავლო პროცესის შესაბამის დონეზე აყვანა და სასწავლო გარემოსა და ინვენტარის წესრიგში მოყვანაა საჭირო.

– უცხოეთში, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის დაწესებულებაში რეგისტრაციის შედეგად, უცხოელ სტუდენტებს, სწავლის პირველივე წლიდან, უფლება აქვთ იმუშაონ ნახევარ განაკვეთზე. გაქვს თუ არა მუშაობის შესაძლებლობა სწავლის პარალელურად?

– ვინაიდან ერასმუს მუნდუსის სამაგისტრო პროგრამის სრული დაფინანსებით ვსარგებლობ, სასწავლო ვიზა მუშაობის საშუალებას არ მაძლევს, თუმცა მოხალისეობრივი საქმიანობების განხორციელება არ მეკრძალება და უნივერსიტეტის სოციალური პროგრამის მეშვეობით ვმონაწილეობდი კიდეც. ჩემი აქტიური ჩართულობა მსგავს საქმიანობებში საშუალებას მაძლევს, უკეთ გავეცნო ადგილობრივ კულტურასა და წეს-ჩვეულებებს, ადვილად შევძლო საზოგადოებაში ინტეგრირება.

– სად და როგორ ატარებ თავისუფალ დროს. როგორ ცხოვრობენ ესპანელი ახალგაზრდები, რა არის მათთვის პრიორიტეტული, რომელი დარგია ყველაზე მეტად განვითარებული?

– ქალაქი ბილბაო, ბასკეთი და ზოგადად ესპანეთი, საკმაოდ მდიდარია კულტურით, ბუნების მრავალფეროვნებითა და საინტერესო საზოგადოებრივი ღონისძიებებით. ბილბაო არის ქალაქი, სადაც ყოველთვის შეგიძლია აღმოაჩინო ინოვაციური და საინტერესო კულტურული ღონისძიება, ხელოვნების ნიმუშების გამოფენა. შესაბამისად, ვცდილობ, თავისუფალი დრო ახალ და განსხვავებულ ღონისძიებებზე დასწრებას დავუთმო, ვიმოგზაურო ბასკეთის ლამაზ ბუნებაში, გავეცნო აქაურ წეს-ჩვეულებებს, კულტურას. ესპანელი ახალგაზრდები არაფრით განსხვავდებიან სხვა ქვეყნის ახალგაზრდებისგან, იღებენ მაქსიმალურ სიამოვნებას ცხოვრებისგან, სწავლობენ, ერთობიან, მოგზაურობენ და ცდილობენ, უკეთესი მომავალი შეიქმნან.

– ქეთი, მომავალი როგორ გესახება, სად აპირებ დამკვიდრებას?

– ვინაიდან მაგისტრატურის დამთავრებამდე კიდევ ერთი წელი მაქვს, არ ვიცი როგორ წარიმართება ჩემი პროფესიული მომავალი. თუმცა დიდი სურვილი მაქვს, მიღებული ცოდნა და გამოცდილება საქართველოში გამოვიყენო და ყველაფერი გავაკეთო იმისთვის, რომ ჩემი ქვეყნის განვითარებაში საკუთარი წვლილი შევიტანო, მინდა, ვიყო ის ადამიანი, ვინც მაქსიმუმს გააკეთებს საქართველოს უკეთესი მომავლის შესაქმნელად.

– როგორ ფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებული განათლება და დიპლომი საქართველოში დასაქმებაში ითამაშებს თუ არა გადამწყვეტ როლს?

– ვფიქრობ, საქართველოში დასასაქმებლად და წარმატების მისაღწევად საზღვარგარეთ მიღებული განათლება და დიპლომი ერთადერთი გადამწყვეტი ფაქტორი არ არის, ვინაიდან საქართველოშიც არის შესაძლებელი მიიღო ძალიან კარგი განათლება, იყო წარმატებული, ჭკვიანი, მოტივირებული და რეალიზებული. თუმცა, ამავდროულად, ვფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებული გამოცდილება ერთ-ერთი ძლიერი ატრიბუტია, რაც არა მარტო საქართველოშია წარმატების მიღწევის საწინდარი, არამედ მსოფლიოს ნემისმიერ ქვეყანაში.

– საერთაშორისო განათლების სამყაროში შესასვლელად შესაძლოა ახალგაზრდებს გზა ადვილად აერიოთ. სწორი არჩევანის გაკეთება საჭირო გამოცდილებისა და ცოდნის გარეშე ძნელია. რას ურჩევ იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც საზღვარგარეთ ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სურვილი აქვთ?

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

– პირველი, რაც, ყველაზე მნიშვნელოვანია არის ცოდნა იმისა, რა მიზანი გაქვს და რას გინდა მიაღწიო. როდესაც მკაფიოდ იცი, რისი მიღწევა გსურს, შემდეგ საჭიროა დასახო სავარაუდო გეგმა, რომლის განხორციელებაც აუცილებელია მიზნის მისაღწევად. ეს შეიძლება იყოს სავალდებულო ენის დონის გაუმჯობესება, პიროვნული თუ პროფესიული უნარების დახვეწა. შემდეგ კი აუცილებელია საკუთარ თავში იპოვო რწმენა იმისა, რომ რისი მიღწევაც გინდა – შესაძლებელია. საკუთარი გამოცდილებიდან შემიძლია გითხრათ, თუ წამითაც არ შეიტან ეჭვს საკუთარ შესაძლებლობებში, მიზანს აუცილებლად მიაღწევ. საჭიროა მუდმივად გვახსოვდეს, რომ ადამიანისთვის დაუძლეველი არაფერია. მთავარია, არ შეგვეშინდეს შეცდომების, არ მოვდუნდეთ, ვიბრძოლოთ მიზნის მისაღწევად. თუმცა, მხოლოდ და მხოლოდ კი არ ვიოცნებოთ, არამედ ვიმუშაოთ, მივიღოთ შენიშვნები, დავაფასოთ ჩვენ ირგვლივ მყოფი ჭკვიანი ადამიანები და თუ მოვახერხებთ, შევინარჩუნოთ რწმენა საკუთარი მიზნების მისაღწევად. ახალგაზრდებს ვურჩევ, იყვნენ აქტიურები, ჰქონდეთ მოტივაცია იმისა, რომ თავად შეუძლიათ შექმნან საკუთარი მომავალი, არ მოდუნდნენ და გარემო პირობებს არ შეეგუონ. შეინარჩუნონ საკუთარი თავის რწმენა, ჰქონდეთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზანი და მას აუცილებლად მიაღწევენ.

– როცა საქართველოდან ასე შორს ხარ, რა გენატრება ყველაზე მეტად?

– ძალიან მენატრება ჩემი ტკბილი ოჯახი, ბედნიერი დროის მათთან გატარება, თამაში ჩემს დისშვილებთან. მენატრებიან მეგობრები, რომლებსაც ჩემს გულში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავთ. მენატრება ქართული ენა და, რა თქმა უნდა, ჩვენი უგემრიელესი სამზარეულო.

– დაბოლოს, როცა ადამიანი საზღვარგარეთ ცხოვრობს, ალბათ მეტს და ღრმად ფიქრობს სამშობლოზე. საზღვარგარეთ გატარებულ მცირე პერიოდშიც კი, ადამიანი სხვანაირად აფასებს საკუთარ ღირებულებებს. როგორ ფიქრობ, მიგვიღებს ევროპა ისეთებს როგორებიც ვართ, თუ ძალიან ბევრი რამის გადახედვა და გადაფასება მოგვიწევს?

– ნამდვილად, როდესაც საკუთარი ქვეყნიდან, შენი კომფორტული ზონიდან შორს იმყოფები, ყველაფერს სრულიად განსხვავებული პრიზმიდან უყურებ და, ვფიქრობ, მეტ ობიექტურობასაც ინარჩუნებ. მიმაჩნია, რომ ქართველ საზოგადოებას გვჭირდება გაზრდა, როგორც დამოუკიდებელ ერს. საჭიროა ვისწავლოთ განსხვავებული აზრისა და შეხედულებების პატივისცემა, ვაღიაროთ არა მხოლოდ საკუთარი პოზიტიური მხარეები, არამედ ნეგატიურიც და შევეცადოთ გამოსწორებას. მნიშვნელოვანია, ახალი თაობა გაიზარდოს თავისუფალი აზრის არსებობის გარემოში, იყოს განათლებული, იცოდეს თავისი, როგორც მოქალაქის, ვალდებულებები და უფლებები და ნაკლებად ექცეოდეს ბრბოს ზეგავლენის ქვეშ. ასევე, მნიშვნელოვანია დავიცვათ ქართული ძირეული ფასეულობები, რაც ჩვენმა წინაპრებმა ჩვენამდე შემოინახეს. საჭიროა, სწორად გვესმოდეს ეს ყოველივე და არავის მივცეთ საშუალება, ჩვენი ფასეულობები განსხვავებული ინტერპრეტაციით ჩაგვინერგონ გონებაში. თუ შევძლებთ და ქართულ ძირეულ ფასეულობებს ჯანსაღი, თავისუფალი აზრის არსებობის გარემოში თანაარსებობის საშუალებას მივცემთ, შესაბამისად, ევროპა ასეთებს მიგვიღებს, ვინაიდან ასეთი ახალი საქართველო ევროპისგან შორს ნამდვილად არ არის.

ესაუბრა
მაკა ყიფშიანი

პედაგოგთა დასახმარებლად

გეოგრაფია

კონსტრუქტივისტული გეოგრაფიის გაკვეთილი

მანანა სეხნიაშვილი
გეოგრაფიის მასწავლებელი, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრის გეოგრაფიის ტრენერი

კონსტრუქტივისტულ პრინციპზე აგებული გეოგრაფიის გაკვეთილი გულისხმობს მოსწავლეთა აქტიურობას, რათა მათ შეძლონ ფაქტების, მოვლენებისა და ცნებების ანალიზი, ინტერპრეტაცია.

არის მეთოდები, რომლებიც უფრო მეტ გააზრებას საჭიროებს. ერთ-ერთი მათგანია „ჯიგსოუს“ ტექნიკა, რომელიც თანამშრომლობითი სწავლების კარგი საშუალებაა. ამ მეთოდს მოსწავლეები უკეთეს შედეგზე გაყავს და თვითორგანიზებისა და პასუხისმგებლობის უნარებს უვითარებს. ასეთი გაკვეთილის ჩატარებისას შესაძლებელია მასწავლებელი სახელმძღვანელოში მოცემულ რესურსებს გასცდეს და ინტერნეტსივრცეში არსებული ტექსტები და რუკები მოიშველიოს.

გთავაზობთ გეოგრაფიის გაკვეთილს, რომელიც კონსტრუქტივისტულ პრინციპებზეა აგებული. „ჯიგსოუს“ ტექნიკის გარდა მასწავლებელი ამ გაკვეთილზე პრობლემურ ლექციასაც იყენებს. ასეთი ლექცია იწყება ინფორმაციული და პრობლემური კითხვებით. კითხვები პრობლემურია, რადგან მოსწავლეების პასუხები წინარე ცოდნაზე არ არის დამოკიდებული, ხდება მოსწავლეთა აზროვნების გააქტიურება. ტრადიციული ლექციისგან განსხვავებით, ამ დროს, მოსწავლე პასიური მსმენელიდან აქტიურ მონაწილედ გადაიქცევა. ყველა ერთად აყალიბებს ახალ ცნებებს, ერთად განიხილავენ მოვლენებს, ადგენენ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, რაც გაკვეთილს უფრო ცოცხალს და საინტერესოს ხდის.

თემა: ურბანიზაცია.

შედეგი: გეო.VIII.8. მოსწავლეს შეუძლია დაახასიათოს ურბანიზაციის პროცესი.

გაკვეთილი იწყება პრობლემური ლექციით. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს გაიხსენონ მსოფლიოს ისტორიული ქალაქები და მათი წარმოქმნის წინაპირობები, ჩამოთვალონ რომელი მათგანი არსებობს დღესაც და რომელი არა – პასუხები იწერება დაფაზე.

შემდეგ მოსწავლეები ადგენენ, რატომ არის, რომ ბრიტანული ქალაქი (მოსახლეობის რაოდენობით) უფრო პატარაა, ვიდრე ინდური სოფელი (განვიხილავთ საქართველოს მაგალითსაც). მოსწავლეთა მიერ გამოთქმული ქალაქის განსაზღვრის კრიტერიუმები იწერება დაფაზე. ხდება ქალაქის ცნების დეფინიცია, მნიშვნელობის განსაზღვრა.

„ჯიგსოუს“ ტექნიკა, SWOT ანალიზი და სქემაზე მუშაობა. კლასი იყოფა ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს ურიგდება ტექსტი – „ურბანიზაციის“ ნაწილები და „ქალაქური“ პრობლემები. ტექსტიდან გამომდინარე, დავალებები ნაწილდება შემდეგნაირად:

I ჯგუფი – შესავალი და რა არის ქალაქი;

II ჯგუფი – მომსახურების ინდუსტრია და მსოფლიო მნიშვნელობის ქალაქები;

III ჯგუფი – ბუნებრივი გაფართოება;

IV ჯგუფი – „აფეთქება“ და მომავალი;

V ჯგუფი – ქალაქური პრობლემები.

ჯგუფები ამუშავებენ ტექსტს. შემდეგ იქმნება ახალი ჯგუფები ხუთივე ჯგუფის თითო წარმომადგენლისგან. ერთ მაგიდასთან თავმოყრილი „ექსპერტები“ ჯგუფის დანარჩენ წევრებს აცნობენ მათ მიერ მოპოვებული ინფორმაციის იმ ნაწილს, რომელიც წინა ჯგუფში მუშაობისას დაამუშავეს. ახალ ჯგუფებში საკუთარ მოპოვებულ მასალას თანმიმდევრობით წარადგენენ (ჯერ I ჯგუფის „ექსპერტი“ ყვება, შემდეგ II და ა.შ.).

შედეგად, თითოეული ჯგუფი ფლობს სრულ ინფორმაციას ურბანიზაციის შესახებ. „ექსპერტთა“ ჯგუფებს ეძლევათ დავალებები და კითხვები:

1) დაადგინონ მსოფლიოს ყველაზე მეტად ურბანიზებული და ყველაზე ნაკლებად ურბანიზებული ქვეყნები;

2) ჩამოთვალონ ამ ქვეყნებში ურბანიზაციის ასეთი მაჩვენებლების არსებობის განმსაზღვრელი ფაქტორები.

რუკა. ურბანიზაციის დონე



შემდეგ მათ უნდა გააკეთონ SWOT ანალიზი.

მოსწავლეებმა ურბანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეები უნდა დაადგინონ, შეძლონ იმ შესაძლებლობებისა და საფრთხის განსაზღვრა, რომელიც ურბანიზაციის პროცესს უკავშირდება. მათ უნდა შეავსონ SWOT ანალიზის სქემა ფორმატებზე.

ძლიერი მხარე	სუსტი მხარე
საფრთხე	შესაძლებლობა

შემდეგ მოსწავლეებმა უნდა ჩამოაყალიბონ საკუთარი მოსაზრება, როგორ გადააქციონ სუსტი მხარე ძლიერად და საფრთხე კი – შესაძლებლობად.

პრეზენტაცია. ჯგუფები წარმოადგენენ შესრულებულ სამუშაოს, აკეთებენ დასკვნებს. პრეზენტაციის დასრულების შემდეგ ყველა ერთად ადგენს საერთო „სვოტ“ ანალიზის სქემას და აყალიბებენ საერთო მოსაზრებას, როგორ გადააქციონ სუსტი მხარე ძლიერად და საფრთხე – შესაძლებლობად.

ტექსტი: ურბანიზაცია

ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების რთული შერწყმა, რაც გამოწვეულია ქალაქების მზარდი როლით საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ურბანიზაციის პროცესისათვის დამახასიათებელია ქალაქის მოსახლეობის სწრაფი ზრდა, უპირატესად – მიგრაციის ხარჯზე, ამიტომაც მის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად ითვლება სტატისტიკური ზომა ქვეყნის მოსახლეობის წილისა, რომელიც ცხოვრობს ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში. ურბანიზაციისათვის დამახასიათებელია მოსახლეობის კონცენტრაცია ქალაქად, რეგლამენტირებული ცხოვრების წესი, რაც ხასიათდება ანონიმურობითა და ფორმალური კავშირ-ურთიერთობებით, შრომის რთული საზოგადოებრივი დანაწილების საფუძველზე საქონლის წარმოების, მოხმარებისა და მომსახურების ინტენსიური ზრდით, ცხოვრების ქალაქური წესის სტანდარტების დაჩქარებული გადატანით სოფლად.

ქალაქი – მსხვილი დასახლებელი პუნქტი, რომელიც ასრულებს სამრეწველო, სატრანსპორტო, სამეურნეო, კულტურული, პოლიტიკური, ადმინისტრაციული ორგანიზაციის ფუნქციებს. ქალაქის კატეგორია ადგილობრივი თავისებურებებით განისაზღვრება შემდეგი ნიშნების მიხედვით: მოსახლეობის რაოდენობა და საქმიანობა, დასახლებული პუნქტის ეკონომიკური და კულტურული მნიშვნელობა. ქალაქს ახასიათებს დასახლების დიდი სიმჭიდროვე და განაშენიანების კომპაქტურობა. ქალაქი წარმოიქმნა ისტორიული განვითარების იმ საფეხურზე, როცა საზოგადოებაში მიმდინარეობდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების და სოციალური დიფერენციაციის პროცესები. ამის გამო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებული მოსახლეობის ძირითადი მასიდან გამოიყოფა სხვა სოციალური ჯგუფები (მმართველი კლასი, ხელოსნები, ვაჭრები და სხვ.), რომელთა კონცენტრაციას გარკვეულ დასახლებულ პუნქტებში ქალაქური ტიპის დასახლების შექმნამდე მივყავართ.

პირველი ქალაქები, როგორც ადმინისტრაციული და რელიგიური, ვაჭრობისა და ხელოსნობის ცენტრები, ძვ. წ. IV-III ათასწლეულში წარმოიშვა. ქალაქების შექმნამ დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოების განვითარებაზე. ისინი იქცნენ სახელმწიფო ხელისუფლების და კულტურის განვითარების ორგანიზაციულ, კერძოდ, სამშენებლო საქმისა და არქიტექტურის განვითარების ცენტრად, ხელი შეუწყვეს ხელოსნობისა და ვაჭრობის (მათ შორის საერთაშორისო ვაჭრობის) განვითარებას. აქ ჩაისახა სავაჭრო და სავახშო კაპიტალი. ქალაქის ხელოსნობასთან იყო დაკავშირებული ტექნიკის პროგრესი.

ტექსტი: „ქალაქური პრობლემები“

ქალაქში უამრავი პრობლემაა, რომელიც მატულობს მის ზრდასთან ერთად. დიდი ქალაქებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ატმოსფერული ჰაერის სისუფთავის და ჯანსაღი კლიმატის, ტრანსპორტის განვითარების და სატრანსპორტო ნაკადების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მოთხოვნების დაკმაყოფილების, ანუ ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემოს შექმნის, ასევე კულტურული ფასეულობების მაქსიმალური შენარჩუნების პრობლემები.

ქალაქებში კლიმატური პირობები მნიშვნელოვნად განსხვავდება მიმდებარე ტერიტორიების კლიმატური თავისებურებებისაგან: ქალაქში მაღალია ჰაერის ტემპერატურა, განსხვავებულია ატმოსფეროს შემადგენლობა (მაღალია ნახშირორჟანგისა და მტვრის შემცველობა), იცის ხანგრძლივი და მკვრივი ნისლი. დიდი ქალაქები უდიდეს გავლენას ახდენენ ადგილობრივ კლიმატზე. მათ მნიშვნელოვანი როლი აქვთ გლობალური დათბობის პროცესში.

ქალაქების ზრდა მოითხოვს სოციალური, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის კომუნიკაციების თანადროულ განვითარებას, რაც ძალიან დიდ თანხებთანაა დაკავშირებული.

დიდი ქალაქებისთვის დამახასიათებელია ე.წ. „ახალი რისკები“, რომელთა შორის სოციალური კონფლიქტები გამოირჩევა. სხვადასხვა რასის, ეროვნების, რელიგიის ადამიანების თავმოყრის ადგილებში ხშირია დაპირისპირება.

დიდ ქალაქებში ადმინისტრაციული, საქმიანი და ფინანსური ორგანიზაციები, ძირითადად, მის ცენტრალურ ნაწილშია განლაგებული. მიწის სიძვირე მათ აიძულებს, ააშენონ მაღალსართულიანი ოფისები, რაც ქალაქის ცენტრში მცხოვრებ მოსახლეობას დიდ პრობლემებს უქმნის.

* * *

ასეთი გაკვეთილი შეიძლება თავდაპირველად უფრო ხმაურიანი გამოვიდეს, მაგრამ შემდგომ, როცა უკვე ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები ჩამოუყალიბდებათ, ხმაურიც იკლებს. ისე, სიმართლე გითხრათ, მე ძალიან მომწონს „ხმაურიანი“ გაკვეთილები.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის №17-ში და №19-ში, რუბრიკაში „პედაგოგთა დასახმარებლად“, დაიბეჭდა „თეორიები დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის შესახებ“, როგორც მეთოდური მასალა გეოგრაფიაში. რედაქცია ბოდიშს უხდის მკითხველსა და ავტორებს დაშვებული შეცდომისთვის, მასალა განკუთვნილი იყო ბიოლოგიის პედაგოგთა დასახმარებლად.

მოსწავლე შემოქმედი

ტრაგედია, რომელიც არ შედგა, ანუ „იფიგენია ავლისში“

გთავაზობთ თბილისის მეექვსე საავტორო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტ-ლაბორატორიის ტრადიციული საგაზაფხულო კონფერენციისთვის მომზადებულ ნაშრომს, ავტორი – ნატალი კაკაბაძე, კონფერენციის ორგანიზატორი და თემების ხელმძღვანელი – რუსუდან მეგრელიშვილი.

პომპეის ფრესკებზე ერთი შედევრია დახატული. ტროას ომის დროს ბერძნების სარდალი აგამემნონი ზურგშექცეული დგას, ხოლო სამსხვერპლო კოცონზე მისი ქალიშვილი, იფიგენია ადის. აგამემნონის სახე არ ჩანს – მხატვრის „კალამმა“ ვერც გამოხატა და არც ცნო საჭიროდ გადმოეცა განცდა მამისა, რომელსაც შვილს უკლავენ და ეს ყველაფერი მისივე (მამისავე) ნება-სურვილით ხდება.

გავიხსენოთ ბერძნული მითი ტროას ციკლიდან:

ავლისში შეკრებილ ბერძენთ ლაშქარს ღმერთები დიდხანს არ აძლევენ ქარს ტროაში გასამგზავრებლად. ისინი მიზეზის ასახსნელად მისან კალქასს მიმართავენ. ეს უკანასკნელი აუწყებს მოძმეებს, რომ აქაველები ტროასკენ გალაშქრებას მხოლოდ იფიგენიას, ბერძნების მთავარსარდლის, აგამემნონის, შვილის, მსხვერპლად შეწირვის შემდეგ შეძლებენ.

ამით იწყება ამბავი, რომელიც ევრიპიდემ თავის ტრაგედიაში აღწერა და კიდევ ერთხელ მძაფრად შეგვახსენა პირველკაცობის მძიმე ტვირთი, სულიერი მდგომარეობა და მარტოსულობა გამორჩეული ადამიანისა.

„მე ვხედავ სიზმრებს არა თქვენებურს“ – გვეხმაურება გალაკტიონი წინა საუკუნიდან. პოეტის სიტყვები დროს უძლებს და არ გვაძლევს საშუალებას, დავივიწყოთ, რომ ჩვენ „მოკვდავნი“ ვერასოდეს შევწვდებით დიდი პიროვნების აზრებსა და გონებას, ვერ გამოვცდით თავზე, თუ როგორია იყო ერთი, ერთადერთი, პირამიდის მწვერვალი – მეფე. პოეზიის მეფეც ხომ წერდა:

„ვწუხვარ, ერთადერთი ვარ“ (გ. ტაბიძე).

შვილი თუ სამშობლო? ამ არჩევნის წინაშე იდგა აგამემნონი. საგონებელში ჩავარდნილი იძულებული გახდა, აერჩია სამშობლო და გაეწირა ერთადერთი შვილი, მშვენიერი იფიგენია, სრულიად უდანაშაულო, უმანკო ქალი, რომლის სიკვდილიც გარდაუვალი გახდა, რადგან მეფის ფიქრი, პირველ ყოვლისა, თავისი ხალხის კეთილდღეობაა, მოვალეობა, რომელსაც იგი ვერ უღალატებს, ვერ უღალატებს უტკბეს მიწას... ვერ უღალატებს ღმერთებს.

მცირე გადახვევა ჩვენთვის უფრო ნაცნობ სამყაროში:

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას არაერთი შემთხვევა ახსოვს, როცა მეფეები შვილებს, ოჯახებს თმობდნენ, ივიწყებდნენ პირად გრძნობებს, ქვეყნის გადასარჩენად იღებდნენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც უკიდურესად რთული იყო მათთვის პიროვნულად.

მე-5 საუკუნეში იბერიის მეფემ ერთადერთი შვილი, მურვანოსი, ბიზანტიის კეისარს მძევლად მიჰგვარა, რათა საიმედო მოკავშირე ჰყოლოდა ქვეყანას.

დამეთანხმებით, ალბათ, რომ შვილზე ძვირფასი მშობელს არავინ ჰყავს, აქედან გამომდინარე, რა უნდა იყოს ყველაზე დიდი სასჯელი ადამიანისთვის? უშვილობა... საკითხავი ის არის, რომელი უარესია: უშვილობა თუ შვილის სიკვდილი? წარმოუდგენელია იმის განცდა, თუ რას გრძნობს მამა, რომელიც შვილს თავისი ხელით სასიკვდილოდ წირავს. ამის შედეგი ნათლად დაგვანახვა ალექსანდრე ყაზბეგმა „ხევისბერ გოჩაში“, ჭკუაზე შეშლილი შვილის მკვლელი ხევისბერის სახით.

ახლა კვლავ ტროას ომს დავუბრუნდეთ...

ევრიპიდეს ტრაგედია „იფიგენია ავლისში“ მამის განცდებით იწყება. მისი სულიერი მდგომარეობა კარგად ჩანს სიტყვებში:

„ტანჯვის ჟამია. ყველა მოკვდავი
ბედნიერიც კი, საბოლოოდ უბედურია
არასოდეს, არვინ ბედნიერი არა შობილა.“

აგამემნონი ძლევამოსილი მეფეა, მაგრამ, ამავდროულად – უბედური მამა. იგი იძულებულია მოტყუებით ჩაიყვანოს ქალიშვილი ავლისში. ამისათვის კლიტემნესტრას, თავის ცოლს, უგზავნის წერილს, რომელშიც იფიგენიას ჩამოყვანის მიზეზად მის აქილევსზე, უმამაცეს ვაჟკაცზე, დაქორწინებას ასახელებს. აქილევსმა ამის შესახებ არაფერი იცის, შესაბამისად, როდესაც ფაქტის წინაშე დადგება, თავისი რაინდული ბუნებიდან გამომდინარე, უარს იტყვის ტყუილის თქმაზე:

„მოვკვდები მყისვე, ცოცხალი კი ვაცოცხლებ ასულს.“

აქილევსის მიერ წარმოთქმულ ფრაზაში მთლიანად ჩანს მისი ჭეშმარიტი დიდსულოვნება, რომლითაც ის ყველასგან გამორჩეულ მეომრად გვესახება.

აგამემნონი კი დილემის წინაშეა: ბერძენთა გამარჯვება ან პირმშოს სიკვდილი. მეფე დასტირის თავის ბედს და უბრალო კაცის მარტივ ცხოვრებაზე ოცნებობს...

„ვითარ მშურს მათი, თავი თვისი ვინც უჩინარყო,
მოკრძალებულად, უყვედრულად განვლო ცხოვრება.
არა საშუროდ მიჩანს ხვედრი აღზევებულთა.“

იწყება პიროვნების გაორება. ტანჯული მამა, რომლისთვისაც შვილისადმი სიყვარული უნატიფესი გრძნობაა და ღირსეული მეთაური, რომელიც მაგალითს უნდა აძლევდეს ყველა მეომარს, თავისი თავგანწირვითა და სამშობლოს ერთგულებით.

„ო, ჩემი ქალის ნაზო ღაწვნო, ქერა კულულნო...
რას გიქადიან ელენე და ფრიგიელები...
ლამის გავწვიმდე შენს სხეულზე ცრემლთა ავდარში“...

ასეთია აგამემნონის ტკივილი, რომელსაც გახარებული ქალიშვილი ჰყავს თვალწინ -იფიგენია ბედნიერია მომავალი ქორწილით, მას ხომ უდიდესი გმირის ცოლობა ხვდა წილად. მაგრამ ყველაფერი იცვლება, როდესაც ქალი სიმართლეს გაიგებს. ეს უმაღლესი მწვერვალიდან, ბედნიერების საუფლოდან ძირს დანარცხებაა.

გოგონა სასოწარკვეთილებაში ვარდება:

„მე ალექსანდრეს და ელენეს ქორწილის გამო
რა ცოდვა მაწევს? რისთვის მერგო სიკვდილი, მამავ?“

აქ იფიგენიას ქალური სიფაქიზე და სინაზე ჩანს, იგი უდანაშაულო მსხვერპლია, მაგრამ აგამემნონსაც აქვს თავისი სიმართლე:

„მე მსურს თუ არ მსურს, შენ ელადა გირჩევს სამსხვეპლოდ.“ – აცხადებს მამა.

საინტერესოა, რა უბიძგებს იფიგენიას, გადადგას ისეთი ნაბიჯი, როგორიც კაცობრიობის ისტორიაში მხოლოდ ერთეულებს გადაუდგამთ? ქალიშვილი უეცრად არნახულ სიმამაცესა და თავგანწირვისათვის მზადყოფნას ავლენს, მაღლდება საკუთარ თავზე და თავისი ნებით ადის სამსხვერპლო კოცონზე. მისი პირადი კეთილდღეობის ინსტინქტს, სიცოცხლის ინსტინქტს პატრიოტიზმი, სამშობლოს სიყვარული გადაფარავს. იფიგენია გვევლინება ძლიერ, დიდსულოვან, თავდადებულ ქალად, გმირად... ისეთივედ, როგორიც ჩვენში წმინდა დედოფალი, ქეთევან წამებული იყო.

იფიგენია აცხადებს:

„სრულად ელადას მოუპყრია ჩემკენ თვალები...
მოითხოვეს მსხვერპლად,
ვით ვეურჩო მოკვდავი ქალღმერთს?
თავს აღარ ვიცავ, სხეულს ჩემსას ვწირავ ელადას.
დამდეთ ზვარაკად, დაანგრიეთ ტროას კედლები
სახსოვრად ჩემდა, მოიპოვეთ თქვენ გამარჯვება,
დე, ელინებმა გაუჩინონ წესნი ბარბაროსთ!“

აქილევსი აღფრთოვანებულია ქალის სულის სიმტკიცით და დანანებით აცხადებს, რომ იფიგენია მისთვის მართლაც ღირსეული მეუღლე იქნებოდა.

ტრადიციული გაგებით, ტრაგედიას ჰყავს გმირი, რომელიც ამკვიდრებს ნათელ იდეალს, პროგრესს და თავად იღუპება. ასე იყო ოდითგან. იფიგენიას შემთხვევაში კი მოულოდნელი გამონაკლისი ხდება: ჩვენს ტრაგედიას ასეთი ფინალი აქვს: მაცნე ატყობინებს კლიტემნესტრას, თუ როგორ გმირულად ხვდებოდა იფიგენია სიკვდილს, დანის დარტყმისას კი როგორ გაქრა ქალიშვილი, მის ადგილას კი სულთმობრძავი ირემი გაჩნდა... არტემისმა არ გასწირა იფიგენია, ქალი ღმერთებს თავიანთ საუფლოში გადაჰყავთ.

„იფიგენია ავლისში“ ალბათ, ყველაზე უცნაური ტრაგედიაა: ტრაგედია ბედნიერი დასასრულით, რომელიც ყველაზე ტრაგიკული ხედვის მქონე შემოქმედის, ევრიპიდეს, მიერ არის დაწერილი. ჯერ კიდევ ვილამოცივმა თავისი დამოკიდებულება ჭეშმარიტი ტრაგედიისათვის საკმაოდ მკაცრი შეფასებით გამოხატა: *„ფანტასტიკურ-სენტიმენტალური, გულისამაჩუყებელი პიესა“.*

სიუჟეტი, რომელსაც ჩვენ გავეცანით, ერთად იტევს უამრავ პრობლემას, რომელთა წინაშე სხვადასხვა დროსა და სივრცეში დამდგარან ადამიანები, განსაკუთრებულად – ლიდერები, გამორჩეული ინდივიდები. იგი, თავისი დედააზრით, შინაარსითა და ფინალით, ძალიან ჰგავს ჩვენთვის კარგად ნაცნობ ამბავს ისააკის მსხვერპლად შეწირვის შესახებ, როდესაც ძვ.წ. 2000 წელს ღმერთი აბრაამს შვილის შეწირვას უბრძანებს ერთგულებისა და ღვთისმოშიშობის დამტკიცების ნიშნად:

„და მიიწივნეს ადგილსა მას, რომელსა ჰრქუა მას ღმერთმან. და აღაშენა აბრაჰამ საკურთხეველი და დაასხა შეშაჲ. და შეკრა ისაკი, ძე თჳსი, და დადვა იგი საკურთხეველსა მას ზედა შეშასა თანა.

და განყო ჴელი თჳსი მოღებად მახვლისა დაკლვად ძისა თჳსისა.

ხოლო უწოდდა ანგელოზი უფლისა ზეცით და ჰრქუა: აბრაჰამ. აბრაჰამ. და მან თქუა: აჰა მე.

და ჰრქუა მას. ნუ მიჰყოფ ჴელსა შენსა ყრმისა მაგის ზედა, ნუ-ცა რას უყოფ მას. აწ უწყი, რამეთუ გეშინის შენ ღმრთისაჲ და არა ჰრიდე ძესა შენსა საყუარელსა ჩემთჳს.

და აღიხილნა თუალნი თჳსნი აბრაჰამ და იხილა: და აჰა, ვერძი ერთი გამოკიდებულ იყო რქათაგან ნერგსა საბეკსა, რქათა მიერ. და მივიდა აბრაჰამ და მოიბა ვერძი იგი და შეწირა იგი მსხუერპლად უფლისა ისაკის წილ, ძისა თჳსისა.

უმანკო მსხვერპლი კი თავის მისიას ყველა შემთხვევაში ასრულებს.

ინფორმაცია

ახალი სასწავლო წლისთვის რამდენიმე ასეული სკოლა გარემონტდება და ახალი სკოლები აშენდება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საგანმანათლებლო დაწესებულებების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს უწყვეტად აგრძელებს. გარდა იმისა, რომ აშენდება ახალი სკოლები, ახალი სასწავლო წლისთვის, რეაბილიტაცია რამდენიმე ასეულ სკოლას, მათ შორის პროფესიულ სასწავლებლებს ჩაუტარდება.

ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ** ჟურნალისტთა კორპუსს გააცნო.

2014 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდება:

- თბილისში – 43 საჯარო სკოლას. გარდა ამისა, რეაბილიტაცია ჩაუტარდება 3 პროფესიული სასწავლებელს;
- შიდა ქართლში – 24 საჯარო სკოლას;
- ქვემო ქართლში – 34 საჯარო სკოლას;
- მცხეთა-მთიანეთში – 6 საჯარო სკოლას;
- კახეთში – 21 საჯარო სკოლას;
- სამცხე-ჯავახეთში – 28 საჯარო სკოლას და ერთ პროფესიულ სასწავლებელს;
- იმერეთში – 78 საჯარო სკოლას;
- გურიაში – 18 საჯარო სკოლას;
- რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში – 11 საჯარო სკოლას და 3 პროფესიულ სასწავლებელს;
- სამეგრელოში, ზემო სვანეთი/აფხაზეთში – 56 საჯარო სკოლას და 3 პროფესიულ სასწავლებელს.

სკოლები, რომელთა მშენებლობა 2014 წელს დაიწყება:

- გურია – ჩოხატაურის მუნიცილაპიტეტი, ზოტის სკოლა; ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, შუა ამაღლების სკოლა;
- იმერეთი, ვანის მუნიციპალიტეტი, ზედავანის სკოლა;
- სამცხე-ჯავახეთი, ადიგენის მუნიციპალიტეტი, არალის სკოლა;
- თბილისი – №61 სკოლა, №103 სკოლა, №100 სკოლა.

სავარაუდო ღირებულება: 36 718 990,38 ლარი

საქართველოს მასშტაბით 9 ახალი საჯარო სკოლა შენდება: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოში; ქარელის რაიონის სოფელ აბანოში; სოფელ ბუღაშენში; სოფელ ახალ დიოკნისში; თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამღერეთში; სოფელ მუხრანში; სოფელ სადგურ სვირში; სოფელ წიფნარში; სოფელ წილკანში.

2014 წელს, საქართველოს მასშტაბით, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეაბილიტაციაზე, დაახლოებით, 37 542 777,00 მლნ. ლარი დაიხარჯება. მათ შორის მოხდება 44 სკოლის გაზიფიცირება და 34 სკოლაში ხალი გათბობის სისტემა დამონტაჟდება

მშენებარე სკოლები:

- 2014 წელს დასრულდება 7 საჯარო სკოლა;
- 2015 წელს დასრულდება 6 საჯარო სკოლა;
- 2016 წელს დასრულდება 3 საჯარო სკოლა.

2014-2016 წლებში ახალი სკოლების მშენებლობის სავარაუდო ღირებულებაა 55 000 000 მლნ. ლარი.

სასკოლო აქტივობა

ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები სასწავლო პროცესში

„მასწავლებელს ნამდვილად შეუძლია ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც სწავლის სხვადასხვა სტილის მქონე ბავშვებს სწავლას გაუადვილებს და მას უფრო სახალისოს გახდის“.

მასწავლებელი ყოველთვის დგას ახალი გამოწვევების წინაშე. ფიქრის, მსჯელობის, ანალიზისა და საკუთარ თავთან ჭიდილის შემდეგ იგი რწმუნდება, რომ საგანმანათლებლო პროცესში ინოვაციური მეთოდების დანერგვა აუცილებლობას წარმოადგენს. ინოვაციების ათვისება მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე მეტყველებს და მოსწავლეებთან მიმართებაში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის შედეგებს გვაძლევს. ინოვაციების დანერგვით მასწავლებელი ზრუნავს როგორც საკუთარ, ისე მოსწავლეთა მომავალზე.

ამჟამად მინდა ყურადღება გავამახვილო ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსებზე – სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვის ეფექტურ საშუალებაზე. ვირტუალური გარემო სასწავლო პროცესს განვითარებაში ეხმარება. ელექტრონული სწავლება ერთგვარი მოტივატორიცაა მოსწავლეებისთვის. ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებით მოსწავლე გადის ცოდნის დაუფლების ყველა ფაზას: იცნობიერებს და იგებს მასალას, ითვისებს, იყენებს და აკეთებს ანალიზს.

ელექტრონული სწავლების ერთ-ერთი ნათელი მაგალითია **შებრუნებული საკლასო ოთახი**, რომელიც ასახსნელი მასალის ვიდეო-გაკვეთილად გადაღებას ითვალისწინებს, ხანგრძლივობა – 3-5 წუთი, მოსწავლეს მისი ბოლომდე ნახვა რომ არ მობეზრდეს.

რა განსხვავებაა ტრადიციულსა და შებრუნებულ საკლასო ოთახს შორის?

ტრადიციულ საკლასო ოთახში ხდება მოსწავლეებისთვის ახალი მასალის გაცნობა და სახლში დავალების სახით მისი განმტკიცება. **შებრუნებულ საკლასო ოთახში** პირიქით – საშინაო დავალებად ეძლევათ მასწავლებლის მიერ წინასწარ გადაღებული ვიდეოგაკვეთილი და საკლასო ოთახში ხდება მისი განმტკიცება. მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს, როგორც მენტორი. მოსწავლეები სახლში უყურებენ ფილმს, სადაც მასწავლებელი ხსნის გაკვეთილს. მოსწავლეთა სხვადასხვა კატეგორია სხვადასხვაგვარად იქცევა: ისინი, ვინც ვერ იგებენ ან დაავიწყდათ – აპაუზებენ ფილმს, ახვევენ უკან, უყურებენ თავიდან, რამდენჯერმე იმეორებენ, დახმარებისთვის მეგობარს მიმართავენ online-ში; ისინი, ვინც ძლიერები არიან – მარტივს გამოტოვებენ, მხოლოდ რთულს უყურებენ და სწავლობენ.

ტრადიციულ სასწავლო ოთახში მასწავლებელი მოსწავლეს ცოდნასთან აკავშირებს. **შებრუნებულ საკლასო ოთახში** მოსწავლე თავად იღებს ცოდნას, მასწავლებელი მას ცოდნის წვდომაში ეხმარება. აქ მიზანმიმართულად ერთვება ტექნოლოგიები, რათა მასწავლებელმაც და მოსწავლემაც მაქსიმალურად გამოიყენონ დრო და ძალისხმევა.

ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსის ერთ-ერთი სახეობაა **ელექტრონული წიგნი**, რომელიც მასწავლებლის მიერ შერჩეული ტექსტის მიხედვით იქმნება და გაკვეთილზე ინფორმაციის უკეთესად აღქმისა და დამახსოვრების მიზნით გამოიყენება, საგაკვეთილო პროცესს ხდის ხალისიანსა და საინტერესოს, მოსწავლეებს სწავლისადმი ინტერესს უძლიერებს. პირადმა გამოცდილებამ მაჩვენა შებრუნებული საკლასო ოთახისა და ელექტრონული წიგნის ეფექტურობა.

მინდა გაგაცნოთ ერთი კონკრეტული შემთხვევა: II კლასის მოსწავლეებისთვის გადავიღე ვიდეოგაკვეთილი მათემატიკაში, თემაზე – ქვეშმინერით გამოკლება. განვიხილე შემთხვევები: ა) როცა ერთეული აკლდება ერთეულს, მაგ., 79-24; ბ) როცა ერთეული არ აკლდება ერთეულს, მაგ., 33-17. მოსწავლეებმა სახლში გაიცნობიერეს მასალა, აითვისეს და კლასში თავისუფლად შეძლეს მისი გამოყენება. ყველა მოსწავლემ უშეცდომოდ შეასრულა საკლასო ოთახში შეთავაზებული დავალება! თანაც დაურთეს ახსნა-განმარტებები, იმსჯელეს და ანალიზი გააკეთეს.

აქედან გამოვიტანე დასკვნა: **ტრადიციული საკლასო ოთახის** შემთხვევაში, როცა ახალი მასალის ახსნას უსმენენ მოსწავლეები – ერთი კატეგორია იგებს და იმახსოვრებს; მეორე კატეგორია იგებს, იმახსოვრებს გარკვეული დროით, მაგრამ შემდეგ ავიწყდება; და მესამე – ვერ იგებს, მაგრამ არ აღიარებს მორიდებულობის გამო. შედეგიც შესაბამისია. **შებრუნებული საკლასო ოთახი** ყველა მოსწავლეზეა მორგებული. ამიტომაც ამ მეთოდის გამოყენებას განსაკუთრებით კარგ შედეგზე გავყავართ.

კარგ შედეგზე გავედი **ელექტრონული წიგნის** გამოყენების დროსაც. მოსწავლეებს შევთავაზე კუკური გოგიშვილის მოთხრობის – „დათუნა და ბაჭია“ – მიხედვით ჩემ მიერ შექმნილი ხმოვანი ელექტრონული ვერსია, რომელიც ავტომატურ რეჟიმში ბუკით გავუშვი. მოსწავლეები წინასწარ იყვნენ ინფორმირებულები, რომ მასალის დასრულების შემდეგ გავმართავდით დისკუსიას. მათ სიამოვნებით მიიღეს ეს შეთავაზება. დავსვი მთავარი შეკითხვა: *რომლის საქციელია თქვენთვის მისაღები – დათუნას თუ ბაჭიას?* ვთხოვე თავთავიანთი მოსაზრებების დამამტკიცებელი არგუმენტების მოყვანა.

დისკუსიის მსვლელობისას გამოიკვეთა, რომ მოთხრობის ტექსტი მოსწავლეებს სრულყოფილად ჰქონდათ აღქმული, არც ერთი ნიუანსი არ გამორჩენიათ. ზოგი გმობდა დათუნას საქციელს, ზოგიც ამართლებდა, ზოგისთვის ბაჭიას საქციელი იყო მისაღები. მოჰყავდათ დამაჯერებელი არგუმენტები. კამათში დაიბადა ჭეშმარიტება: კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო.

შემიძლია დავასკვნა: ელექტრონული წიგნების საშუალებით მოსწავლეები ტექსტს უკეთ იმახსოვრებენ და სწავლობენ, ვიდრე ჩვეულებრივი კითხვით. უკეთ დასწავლილი ტექსტი შინაარსიანი დისკუსიის საწინდარი გახდა.

ქეთევან მამალაძე
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევის საჯარო სკოლის დაწყებითი სწავლების საფეხურის სერტიფიცირებული პედაგოგი

თსუ საბავშვო უნივერსიტეტი

2014 წლის 22 მაისი შპს ქობულეთის საერო სკოლის „ფარნავაზი“ ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი დღე იყო. სკოლა მასპინძლობდა (მემორანდუმის ფარგლებში სკოლა აქტიურადაა ჩართული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტში „თსუ საბავშვო უნივერსიტეტი“ და ყოველწლიურად მონაწილეობს საბუნებისმეტყველო საგნების კონკურსებში) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველს, „თსუ საბავშვო უნივერსიტეტის“ კოორდინატორს, ქალბატონ **მარინა ლომოურს**, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ **იური პაპავას** (ფიზიკა), პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელს, პროფესორ **ქეთევან ჭკუასელს**, საბავშვო უნივერსიტეტის პროგრამების კოორდინატორ **გიორგი გრიგოლაშვილს**, დოქტორ **ზაქარია ქიტიაშვილს**.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, ქობულეთის რაიონის ჭახათისა და ქვედა კვირიკეს საჯარო სკოლები, ბათუმის კერძო სკოლა „იმედის“ პედაგოგები და მოსწავლეები.

სტუმრებმა დაათვალიერეს სკოლის კაბინეტები, ბიბლიოთეკა, ლაბორატორია. ვიდეო და აუდიომასალები... სკოლის სიამაყეა საბუნებისმეტყველო საგნების ვიდეომასალები (40 ვიდეოკასეტა), რამაც სტუმრების დიდი ინტერესი გამოიწვია.

მოსწავლეებს ქალბატონმა მარინე ლომოურმა და ბატონმა გიორგი გრიგოლაშვილმა წაუკითხეს ლექციები შემდეგ თემებზე:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლი ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში;

2. თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გავლენა საზოგადოებაზე;

3. არასრულწლოვანთა სამართლებრივი უფლებები, მოვალეობები, პრობლემები.

პედაგოგებს შეხვდნენ ბატონი იური პაპავა, ბატონი ზაქარია ქიტიაშვილი და ქალბატონი ქეთევან ჭკუასელი.

მასწავლებლებთან შეხვედრა მიზნად ისახავდა: 1. უმაღლეს და საშუალო სკოლას შორის აკადემიური ურთიერთობების განვითარებასა და გაღრმავებას; 2. ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის ზრდას; 3. თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესებში არსებული სირთულეებისა და პრობლემების ანალიზს; 4. პრობლემური საკითხების დასმასა და კონკრეტული ნაბიჯების დასახვას.

შეხვედრით კმაყოფილები იყვნენ როგორც სკოლების წარმომადგენლები, ასევე უნივერსიტეტის მესვეურები. დაიგეგმა არაერთი შეხვედრა, ერთობლივი გაკვეთილები, ლექციები, კონკურსები, პროექტები, საზაფხულო ბანაკები და ა.შ.

შეხვედრის ბოლოს პედაგოგებსა და მოსწავლეებს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

ამ შეხვედრამ მოსწავლეებსა და პედაგოგებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

მადონა ოქროპირიძე
შპს „ფარნავაზის“ დირექტორი

ტურისტული სეზონი

ქობულეთის პროფესიულ კოლეჯში „ახალი ტალღა“, ტურისტული სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით, გაიმართა ღონისძიება სახელწოდებით – „ტურისტული სეზონი 2014“, რომლის ფარგლებშიც კოლეჯს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე**, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი **გიორგი თავამაიშვილი** და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **გიორგი სიგუა** ეწვივნენ. მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ ბიზნესპარტნიორი ორგანიზაციების, სასტუმროებისა და რესტორნების წარმომადგენლები.

ღონისძიების ფარგლებში, უკრაინელმა და ფრანგმა ტურიზმის სფეროს სპეციალისტებმა, კოლეჯის სტუდენტებთან ერთად, ზღვის პროდუქტების საფირმო კერძების მომზადებაში თავიანთი ხელოვნება წარმოადგინეს. სტუმრებმა კოლეჯი დაათვალიერეს, სასწავლო გარემოსა და სტუდენტთა ნამუშევრების პრეზენტაციებს გაეცნენ.

ქობულეთის თანამედროვე სტანდარტების პროფესიული კოლეჯი უახლესი აპარატურითა და ტექნიკითაა აღჭურვილი. სტუდენტებისთვის ფუნქციონირებს სასტუმროს ტიპის საერთო საცხოვრებელი და რესტორანი. პროფესიულ კოლეჯში „ახალი ტალღა“ სპეციალობები აჭარის რეგიონის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული გეგმიდან გამომდინარეა შერჩეული, შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებზე: მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) ოპერატორი, ამწის მემანქანე, თაბაშირმუყაოს სპეციალისტი, ელექტრიკოსი, სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსი, სარესტორნო საქმის მწარმოებელი, სასტუმრო საქმის მწარმოებელი, მზარეული, კონდიტერი, ტუროპერატორი (აგრო, ეკო და ა.შ.), ბარმენი და სხვ.

განახლებული პროგრამები, შესაბამისი სასწავლო პირობები და მომზადების მაღალი დონე განაპირობებს იმ გარემოებას, რომ კოლეჯს ყოველწლიურად ასობით ახალგაზრდა ამთავრებს და თითქმის ყველა კურსდამთავრებული, სასწავლებლის დამთავრებამდე, იღებს დასაქმებაზე შეთავაზებას სხვადასხვა კომპანიიდან.

ღონისძიების მონაწილე ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი სიგუამ ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებს ახალი პროგრამა გააცნო, რაც კოლეჯთან მომავალ თანამშრომლობას და კურსდამთავრებულთა დასაქმებაში ხელშეწყობას გულისხმობს.

იურისტის კონსულტაცია

როგორი ფორმით ხდება შრომითი ხელშეკრულების დადება?

შრომითი ხელშეკრულება იდება ზეპირი ან წერილობითი ფორმით.

რა შემთხვევაში იდება შრომითი ხელშეკრულება წერილობითი ფორმით?

შრომითი ხელშეკრულება იდება აუცილებლად წერილობითი ფორმით, თუ შრომითი ურთერთობა 3 თვეზე მეტ ხანს გრძელდება ან დასაქმებულთან დადებულია შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით.

რა შემთხვევაში შეიძლება დაიდოს შრომითი ხელშეკრულება 1 წელზე ნაკლები ვადით?

შრომითი ხელშეკრულება ერთ წელზე ნაკლები ვადით იდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა:

ა) შესასრულებელია კონკრეტული მოცულობის სამუშაო;

ბ) შესასრულებელია სეზონური სამუშაო;

გ) სამუშაოს მოცულობა დროებით იზრდება;

დ) ხდება შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლით სამუშაოზე დროებით არმყოფი დასაქმებულის ჩანაცვლება;

ე) არსებობს სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს ხელშეკრულების განსაზღვრული ვადით დადებას.

რა შემთხვევაში ჩაითვლება შრომითი ხელშეკრულება უვადოდ დადებულად?

თუ შრომითი ხელშეკრულება დადებულია 30 თვეზე მეტი ვადით ან თუ შრომითი ურთიერთობა გრძელდება ვადიანი შრომითი ხელშეკრულებების ორჯერ ან მეტჯერ მიმდევრობით დადების შედეგად და მისი ხანგრძლივობა აღემატება 30 თვეს, ჩაითვლება, რომ დადებულია უვადო შრომითი ხელშეკრულება. ვადიანი შრომითი ხელშეკრულებები მიმდევრობით დადებულად ჩაითვლება, თუ არსებული შრომითი ხელშეკრულება გაგრძელდა მისი ვადის გასვლისთანავე ან მომდევნო ვადიანი შრომითი ხელშეკრულება დაიდო პირველი ხელშეკრულების ვადის გასვლიდან 60 დღის განმავლობაში. ამ პირობების მიუხედავად, ვადიანი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მომუშავე დასაქმებულთან, რომლის შრომითი ურთიერთობები ერთსა და იმავე დამსაქმებელთან გრძელდება 5 წლის ან მეტი ხნის განმავლობაში, უვადო შრომითი ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება შრომის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების ამოქმედებიდან 1 წლის შემდეგ, ანუ 2014 წლის 4 ივლისიდან, ხოლო თუ ასეთივე დასაქმებულის შრომითი ურთიერთობები ერთსა და იმავე დამსაქმებელთან გრძელდება 5 წელზე ნაკლები ხნის განმავლობაში, მასთან უვადო შრომითი ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება შრომის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების ამოქმედებიდან 2 წლის შემდეგ, ანუ 2015 წლის 4 ივლისიდან.

შრომის შინაგანაწესი შრომითი ხელშეკრულების ნაწილია?

შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს, რომ შრომის შინაგანაწესი ხელშეკრულების ნაწილია. ამ შემთხვევაში, დამსაქმებელი ვალდებულია პირს შრომითი ხელშეკრულების დადებამდე გააცნოს შრომის შინაგანაწესი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო შემდგომ – მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება. საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ №959 ბრძანების მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, შრომითი ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების ნაწილია.

ნატა ჩანადირი
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტი

სპორტი

ფუტზალის მასობრივი ტურნირი

ირაკლი თავაძე

კვირას, სპორტკომპლექსში „არენა-2“, დამთავრდა სასკოლო ჩემპიონატი ფუტზალში, რომლის გამარჯვებულიც თბილისის 149-ე საჯარო სკოლის გუნდი გახდა. ვერცხლის მედალი 120-ე სკოლის გუნდმა მოიპოვა, ბრინჯაო – მე-2 სკოლამ, მეოთხეზე კი 114-ეს გუნდი გავიდა.

ტურნირი საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის ინიციატივით ჩატარდა, თუმცა მას საორგანიზაციო საკითხებში უდიდესი დახმარება გაუწია საქართველოს ფუტზალის ასოციაციამ — მოამარაგა სათამაშო კარებით, რომელიც თვითონვე შეიტანა, დაამონტაჟა და საჩუქრად დაუტოვა ქვეჯგუფის მასპინძელ სკოლებს; მიავლინა მსაჯები, დაეხმარა ბურთებით, ფორმებით, აპარატურით და დიდი წვლილი შეიტანა საინფორმაციო გაშუქებაში. მისასალმებელია ეროვნული ფედერაციის ასეთი დაინტერესება სპორტის მათივე სახეობის მასობრიობის გაზრდაში.

ეს ტურნირი სასკოლო სპორტის ფედერაციის მიერ გამართულ ღონისძიებათაგან ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი გამოდგა – მასში 80-მდე საჯარო სკოლა ჩაება, მისი დასკვნითი ეტაპი კი 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს დაამთხვიეს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შეჯიბრება გასცდა თბილისის ფარგლებს და მასში 3-3 გუნდი მცხეთიდან და რუსთავიდანაც ჩაება. საბოლოოდ მათი თითო წარმომადგენელი პლეი ოფშიც გავიდა.

ეს გუნდები ორგანიზატორებმა 13 ქვეჯგუფად დაყვეს, ჯგუფური ეტაპის სამასპინძლოდ კი დედაქალაქის 4 სკოლა შეარჩიეს. საბოლოოდ პლეი ოფში 32 გუნდი გავიდა. პირველ ეტაპს – 1/16-ფინალს ისევ სკოლებმა უმასპინძლეს, მერვედფინალიდან კი ასპარეზობამ „არენა-2“-ში გადაინაცვლა.

ნახევარფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: №120-№115; №149-№2. ორივე შეხვედრა ფრიად დაძაბული გამოდგა და გამარჯვებული მინიმალური სხვაობით გაირკვა. პირველ წყვილში 120-ე სკოლამ (სპორტის მასწავლებელი – **მევლუდ ლაშაური**) 115-ს (მასწავლებელი – **გია ბეგიაშვილი**) 3:2 სძლია, მომავალმა ჩემპიონმა – 149-ემ კი (მასწავლებელი – **ელგუჯა გუზიტაშვილი**) 2:1 მოუგო მე-2 საჯარო სკოლას (მასწავლებელი – **ირაკლი მენთეშაშვილი**).

ფინალური შეხვედრა მთლად ასე დაძაბული არ ყოფილა – 149-ე სკოლის მოსწავლეები აღემატებოდნენ მეტოქეს. ვერ ვიტყვით, რომ მოწინააღმდეგე უსუსურად გამოიყურებოდა, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდნენ. ანგარიში თავისთავად მეტყველებს ყველაფერზე – მომავალმა ჩემპიონებმა 6:2 იმარჯვეს. ტურნირის საუკეთესო მოთამაშეც მათი მონაწილე – **გიგი გოცაძე** გახდა.

სასკოლო სპორტის ეროვნულ ფედერაციას, სასწავლო წლის მიწურულთან ერთად, ფრიად სადაგი დღეები აქვს. მხოლოდ ამ კვირაში ტარდება ფინალური პაექრობები ფრენბურთში, ხელბურთში, ბადმინტონში, ოდნავ მოგვიანებით ფინიშის სწორზე სხვა სახეობებიც გავლენ. თანაც, უმეტეს დისციპლინებში ფინალები რამდენიმე ასაკობრივ ჯგუფში ტარდება.

წიგნის თარო — მიმდინარეობს ხელმოწერა

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაძლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოდ, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სირთულეები.

ფასი – 9 ლარი

კრებულის შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
4. მენინები - დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
6. მხატვრის ბალი - კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
8. საქანელა - ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი
6.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ძვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. ძველი რომი
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. რეპტილიები და დინოზავრები
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
16. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი
3 ლარი

ქართველი მწერლები

❖ ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული)
I–V ტომი, – 11 ლარი
❖ მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული)
I–VII ტომი – 11 ლარი
❖ ლევან გოთუა (7-ტომეული)
I–II ტომი – 16 ლარი
❖ ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული)
I–II ტომი – 15 ლარი
❖ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული),
I, II, III, VI, VII, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი,
IV–V ტომი –18 ლარი
❖ რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული)
I, II, IV, V, VI ტომი – 12 ლარი
❖ ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული)
I–VII ტომი –12 ლარი
❖ გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული),
I–V ტომი – 12 ლარი
❖ ოტია იოსელიანი (10-ტომეული)
I–X ტომი – 12 ლარი
❖ თამაზ ჭილაძე (6-ტომეული)
I–VI ტომი – 10 ლარი
❖ გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული)
I, III, IV, V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. იაკობ ხუცესი
12. იოანე საბანისძე
13. დავით გურამიშვილი
14. ბესიკი
15. რევაზ ინანიშვილი
16. ალექსანდრე ჭავჭავაძე
17. თეიმურაზ I
18. ვახტანგ VI
19. გიორგი მერჩულე
20. გრიგოლ ორბელიანი
21. დავით ალმასშენებელი

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 599880073. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

„მსოფლიო ლიტერატურის ქლასიკოსები“

მიმდინარეობს ხელმოწერა

წიგნის თარო

- ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
- რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი ისტორიის მიღმა**
- ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტეზუმას ასული**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
- მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ალბერ კოენი - **დედაჩემი**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**

ითითო ფასი – 12 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან

ინტელექტი სკოლას

ფასი – 15 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
ფასი – 4 ლარი

თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
ფასი – 10 ლარი

თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)
ფასი – 10 ლარი

„დიოგენე“ გამოგზავნილია

ქიმია
საატესტატო-საგამოცდო საკითხები და ტესტები
ლ. თევზაძე
ფასი – 3 ლარი

ქიმია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. მეტრეველი
ფასი – 6 ლარი

ქიმია
დამხმარე სახელმძღვანელო უფროსკლასელებისა და აბიტურიენტებისათვის
ჟ. პეტრიაშვილი, ნ. მაისურაძე
ფასი – 4 ლარი

ბიოლოგია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე, დ. ბარამიძე, ქ. მაღრაძე, ნ. სიხარულიძე, მ. ბაგალიშვილი
ფასი – 4 ლარი

ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია
ფასი – 6 ლარი

გეოგრაფია
საატესტატო გამოცდისთვის
გ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
ფასი – 6 ლარი

ისტორია
საატესტატო გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ახმეტელი, ნ. მურღულია
ფასი – 6 ლარი

ისტორია
ეროვნული გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ახმეტელი, ნ. მურღულია
ფასი – 9 ლარი

მათემატიკა
ცნობარი აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეთათვის
ა. წერეთელი
ფასი – 5 ლარი

ითითო ფასი – 9 ლარი

რა არის რა

- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამოგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები და ცათამბრჯენები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ სამურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უძველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი

ფენომენები

- ❖ ფიზიკა
- ❖ ჩაძირული ქალაქები
- ❖ ქიმია
- ❖ მეკობრეები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა



ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >